

საპა მებრევილი



მსახიობის
სიღვწემთმეზღვრელება

ეს წიგნი ზინაიდა კვერენჩხილაძის სცენური ოსტატობის მხატვრული ანალიზის მცდელობაა. ავტორი ახერხებს ჩასწვდეს მსახიობის შემოქმედებით მრწამსს და მასზე დაყრდნობით გახსნას ზ. კვერენჩხილაძის, როგორც მხატვრული კითხვის დიდოსტატის, ფენომენი.

მსახიობის უნარი, მიაგნოს ნაწარმოების სულს, თავად გარდაისახოს ლირიკულ გმირად და აახმიანოს ტექსტი მისი თითქმის ყველა ნიუანსის აჟღერებით, მართლაც აჯადოებს მსმენელს. ავტორი, თავად შთაგონებული და მოხიბლული ზ. კვერენჩხილაძის ტალანტით, ახერხებს, ჩვენც განგვანყოს და აღგვაფრთოვანოს მსახიობის მდიდარი შემოქმედებითი სამყაროთი.

ქართველი მკითხველი სიამოვნებით გაეცნობა ამ წიგნს, რომელიც ერთგვარი გზამკვლევიც იქნება სასცენო ხელოვნების სპეციფიკაში რიგითი მაცურებლის ორიენტირებისათვის.

რედაქტორი **მანანა გეგეჭკორი**

რეცენზენტები: **ლაურა გრიგოლაშვილი**

რევაზ სირაძე

წინათქმა

მსახიობის სიტყვათმეტყველება – ასე ეწოდება ამ ნაშრომს ზინაიდა კვერენჩილაძის, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატის, შესახებ. ავტორი აქვე იმასაც მიგვითითებს, რომ მისი ნააზრევი ფილოლოგის დაკვირვებათა შედეგია.

ფრხილებში მოქცეული ეს ორი სიტყვა – ფილოლოგიური დაკვირვებანი – ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გვაუწყებს, რომ დრამატული თეატრის მსახიობის შემოქმედებით ფილოლოგი დაინტერესდა. მსახიობის ხელოვნებისადმი ფილოლოგის ინტერესი ნიშანია იმისა, რომ ხელოვნების ეს დარგი სიტყვის შემსწავლელ მეცნიერთა კვლევის ობიექტიც გახდა. მაშასადამე, შეისწავლება სრულიად ახალი რაკურსით. ეს ძალზე იშვიათია!

მართალია, სიტყვათმეტყველება, როგორც ავტორი აღნიშნავს, გულისხმობს მსახიობის სცენურ მეტყველებას, საერთოდ, ამჯერად, ძირითადად, განიხილება მსახიობის მიერ სცენაზე გაცოცხლებული პოეტური სიტყვა. ალბათ იმიტომ, რომ თვით ზ. კვერენჩილაძე განსაკუთრებით სწორედ პოეზიას ეტრფის.

საბა მეტრეველის აზრით, ამ მხრივ ყურადსაღებია ზ. კვერენჩილაძის მიგნებანი, რადგან მსახიობის მეტყველებაში ახმიანებული პოეტური სიტყვა ძალიან ნათლად წარმოაჩენს ქართული ენის სტრუქტურულ თავისებურებას.

საგულდაგულოდაა შესწავლილი ზ. კვერენჩილაძის, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატის, მრავალფეროვანი რეპერტუარი. აქ ეძებს მკვლევარი მსახიობის მოქალაქეობრივ და შემოქმედებით ინტერესთა სათავეს. ყოველი ცალკეული ნიმუშის განხილვისას ავტორი მიგვანიშნებს იმას, თუ როგორ იჭრება მსახიობი ავტორის პროზაულსა თუ პოეტურ ტექსტში საკუთარი ემოციებით და როგორ ამდიდრებს მას მისეული ნიუანსებით. ხაზგასმულია ზ. კვერენჩილაძის სიტყვისთვის ჩვეული დინამიკურობა.

ცნობილია, რომ ნებისმიერი მეტყველება სიტყვისა და მღუმარების მონაცვლეობაა. ს. მეტრეველიც თანაბარი გული-

სყურით ეკიდება როგორც ზ. კვერენჩხილადის წარმოთქმულ სიტყვას, ისე მის მდუმარებას სცენაზე, ფაქიზად შეიგრძნებს მათ შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ოსტატურად პოულობს ამ უხილავი კავშირების გადმოცემისათვის შესაფერ სიტყვებს.

ნაშრომი გამსჭვალულია კრძალვითი დამოკიდებულებით, საერთოდ, სიტყვისადმი, კერძოდ კი ქართული მხატვრული სიტყვისადმი, რომელშიც ასე მკაფიოდ ვლინდება ერის პოტენცია, და იმ მსახიობისადმი, ამ სიტყვას რომ აცოცხლებს სცენაზე.

ამგვარი სიყვარული ქართული ენისა და სცენური სიტყვისადმი განსაკუთრებით ძვირფასია დღეს, როდესაც, ავტორისავე სიტყვით, მათდამი დამოკიდებულება არაა სათუთი.

ყოველივე ზემოთქმული ნათელყოფს საბა მეტრეველის დაკვირვებათა ფასეულობას და საზოგადოებისათვის მისი გაცნობის საჭიროებას.

ნათელა ურუშაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი.

სიტყვები ჩემი სიცოცხლეა. მე მათ ისე ვუყურებ, როგორც ცოცხალ არსებებს, როგორც წმიდათაწმიდას. ისინი ისე არიან წიგნის ფურცლებზე ჩამწკრივებულნი, რომ მზად ვარ მათ წინაშე ქედიც კი მოვიხარო!

ემილი დიკინსონი

ვისაც ენის აზრი ესმის, მას განუცხადდება სამყარო ხატში. ვინც ენის სამშვინველს უსმენს, მას გაეხსნება სამყარო, როგორც არსება. ვინც ენის სულს განიცდის, მას სამყარო მიანიჭებს სიბრძნის ძალას. ვისაც შეუძლია ენის სიყვარული, მას ის თავად ანიჭებს საკუთარ ძალას.

ამგვარად, მსურს გული და აზრი სიტყვის, სულისა და სამშვინველისაკენ წარემართო და მისდამი სიყვარულში შევიგრძნო თავად ჩემი თავიც!

რუდოლფ შტაინერი

1956 წელი... რუსთაველის თეატრი... რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი დგამს ბ. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორს“, აფიშაზე, ცნობილი მსახიობების გვერდით, პირველად გამოჩნდება უცნობი სახელი და გვარი: ზ. კვერენჩილაძე... მაშინ იგი თეატრალური ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტი იყო და, თანაც, საქართველოს ჩემპიონი ფარიკაობაში. მიხეილ თუმანიშვილი იგონებდა: „რადგან ზინა იყო ჩემპიონი ფარიკაობაში, ამის გამო, მომივიდა აზრი, ეთამაშა ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორში“, რომელსაც იმხანად ვდგამდი. პიესაში სპორტულად აგებული, მოძრავი პერსონაჟი იყო – სლავკა – და გადავწყვიტე, მისთვის მიმენდო ეს როლი. აი, აქედან დაიწყო, ფაქტობრივად, მისი სამსახიობო გზა“.

ასე მოვიდა ზინაიდა კვერენჩილაძე ქართულ თეატრში საკუთარი ნიჭით, შრომისმოყვარეობით, უკომპრომისობით, თავისი სათქმელით, გამორჩეული ხმით, ტკივილით, მოვიდა და მოიტანა აზრი, ემოცია, ამალღებულის ესთეტიკა, მეტყველი პლასტიკა, დახვეწილი ინტონაცია, მაღალი სასცენო კულტურა.

სლავკას მოჰყვა ეთერი (ვ. გაბესკირიას „გურიის მთები დაუთოვია“) და დადგა 1960 წელი – დრო ზინა კვერენჩილაძის „მზის ამოსვლისა“, პირველი დიდი აღიარებისა: მას დიმიტრი ალექსიძის სპექტაკლ „ბახტრიონში“ ლელას როლის განსახიერების ბედნიერება ხვდა წილად. ეს იყო ძალზე სერიოზული განაცხადი ახალგაზრდა მსახიობისა, მისი პროფესიული ოსტატობისა და მოქალაქეობრივი მრწამსისა. ყველამ ირწმუნა, რომ ზ. კვერენჩილაძის სახით ქართულ თეატრში მოვიდა უაღრესად ინდივიდუალური, ორიგინალური ხელწერისა და თავისებური სტილის მსახიობი, რომლის ლირიზმით გაზავებული ღრმა დრამატიზმი და ძლიერი ემოცია ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიურ არხში მიედინებოდა.

1963 წელი კი აღმოჩენა იყო მსახიობის ახალი ამპლუისა: მ. თუმანიშვილმა დადგა გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, ზ. კვერენჩილაძემ ტურა განასახიერა. აქ უკვე თვალნათლივ გამოვლინდა ისიც, რომ მსახიობს მშვენივრად ხელწინფება

სახასიათო როლებიც, მაგრამ მისი ნიჭის სრულ გაბრწყინებამდე კიდევ ხუთი წელი რჩებოდა... მანამდე ითამაშა ნინო – კ. როზოვის პიესაში „ვახშმოხის წინ“ და ელიზაბეტ პროექტორი – ა. მილერის „სეილემის პროცესში“. რ. სტურუას ამ სპექტაკლს შოკირებული ტოვებდა მაცურებელი. აქ ყველაფერი ზუსტად და მკაცრად იყო გათვლილი, მაგრამ ელიზაბეტ პროექტორი მაინც ყველასგან გამოირჩეოდა ძუნწი, უალრესად მეტყველი პლასტიკით, ინტონაციით, უკიდურესობამდე დაჭიმული ემოციურობით. მაცურებელი დაძაბული ადევნებდა თვალს ზ. კვერენჩხილადის გმირის უბედურებას. იმდენად გადამდები იყო მსახიობის ემოცია, რომ სუნთქვაშეკრული დარბაზი შეძახილით გამოხატავდა რეაქციას სიტყვებზე: „გავიდა ოთხი წელი და ელიზაბეტ პროექტორი გათხოვდა“...

1968 წელი გამორჩეულია არა მხოლოდ ზინაიდა კვერენჩხილადის შემოქმედებითს ცხოვრებაში, არამედ, საერთოდ, ქართული თეატრის ისტორიისთვის. აფიშები გვაცნობდნენ მსოფლიო დრამატურგიის ურთულესი პიესის, ჟ. ანუის „ანტიგონეს“ პრემიერას მ. თუმანიშვილის რეჟისურით. ქართულ თეატრში დაიბადა ზინა კვერენჩხილადის ანტიგონე, სერგო ზაქარიადის კრეონტი, – მსახიობის ოსტატობის უმაღლესი დონე და ნიმუში...

ზ. კვერენჩხილადის პიროვნება დღესაც ბევრისთვის ასოცირდება ანტიგონესთან, რადგან ანტიგონესათვის უკომპრომისო, მართალი, სულიერად ამაღლებული, მიზანსწრაფული, ხისტი და შემტევია... ანტიგონეს მოჰყვა ფედრა – ჟ. რასინის „ფედრაში“, ფედრას – მედეა ჟ. ანუის „მედეაში“, შემდეგ ზეინაბი – ა. სუმბათაშვილის „ლალატში“, იოკასტე – სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეში“, კლეოპატრა – შექსპირის „ანტონიოსა და კლეოპატრაში“... და დადგა 1983 წელი, როცა საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ერთი მსახიობის თეატრს: რ. სტურუა დგამს უილიამ ლიუსის „ამჰერსტის მშვენებას“, ემილი დიკინსონის როლში ზ. კვერენჩხილძე წარდგება. ეს იყო პოეტურობის, გამაოგნებელი არტისტიზმისა და სცენური აკადემიზმის ზეიმი. ორი მოქმედების მანძილზე ერთი მსახიობი იდგა

სცენაზე და აფრქვევდა ემილი დიკინსონის უმდიდრესა და უნატიფეს, ამავე დროს, ურთულეს პოეტურ-ფსიქოლოგიურ სამყაროს მარგალიტებს.

ზინაიდა კვერენჩხილაძის პიროვნული და შემოქმედებითი თვისებები განუყოფელია და ეს ფაქტორი იმის საშუალებას იძლევა, რომ, თუ პირადად არ ვიცნობთ, შემოქმედებიდან შევხედოთ და შევაფასოთ იგი, როგორც პიროვნება. ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონია, ყველა გეტყვით, რთული ადამიანიაო. იგი არც ურთიერთობებშია ზედაპირული და არც ხელოვნებაში. მისი ხასიათის თავისებურებას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: ჯერ ერთი, იმდენად კატეგორიულად გულახდილია, რომ, თუ არ უნდა, შენთან ურთიერთობაში, საერთოდ, არ შემოვა. იგი არ ინიღბება, რაღაც ფორმით აუცილებლად გაგრძნობინებს, მოსწონხარ თუ არა. ამას გარდა, მკაცრი და მომთხონია, უპირველესად, საკუთარი თავის მიმართ და ისეთ ადამიანთა ფსიქოლოგიურ ტიპს განეკუთვნება, რომლებიც დათმობაზე არ მიდიან. ძალზე დაუნდობელია საკუთარი შემოქმედების მიმართ, ყოველთვის ფიქრობს, რომ რაღაც არ გამოვიდა, რომ რაღაც დააკლო... ასეთი შემოქმედებითი ექვიანობა იმასაც განსაზღვრავს, თუ რამდენად დინამიკურია მისი პოზიცია. ზინა კვერენჩხილაძე ყოველთვის დამუხტული, ანთებული და საქმისთვის განწყობილია. მას აქვს სიმართლის არაჩვეულებრივად გამწვავებული მოთხოვნა. გულმართალი ადამიანი ტყუილს არავის აპატიებს და სიმართლესაც ყოველთვის მოგახლის. ის პიროვნული ავტონომია, რომელიც მსახიობმა მოიპოვა, არ აძლევს თავსმოხვეული ურთიერთობების უფლებას. მისთვის უცხოა „საქმის ჩანყოფა“, გარიგება, გაძრომა-გამოძრომა, პრივილეგია, შეღავათი, კატეგორიულად არ დაუშვებს ფამილარობას, ლიქენას, თვალთმაქცობას, ვერ იტანს უტიფარ, პირფერ, გაიძვერა ადამიანებს, უფრო მეტიც, ასეთებს გვერდით არ გაიკარებს, თუ როლების განაწილებისას აღმოჩნდა, რომ მისთვის მიუღებელი პიროვნების პარტნიორია, საერთოდ, უარს იტყვის როლზე...

ზ. კვერენჩხილაძე ისეთი სტრუქტურის ადამიანია, რო-

მელიც ბევრი რამის უფლებას საკუთარ თავს არ აძლევს და იმ ფილოსოფიის მიმდევარია, რუსთაველმა ასე რომ ჩამოაყალიბა: „რაც არა გნადდეს იგი ქმენ, ნუ სდევ ნადილთა ნებასა“.

სცენაზეც და ცხოვრებაშიც უაღრესად დახვეწილია. მასში არის რაღაც ცივილიზაციისაგან შეურყვნელი ადამიანისა. მცირედით კი კმაყოფილდება (პირაღს ცხოვრებაში), თუმცა ვერ ეგუება სულის გაღატაკებას, ებრძვის კომფორმიზმის ყოველგვარ გამოვლენას, მაგრამ აკადემიზმის მომხრეა ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც. ზ. კვერენჩხილაძე იმ იშვიათ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც არასოდეს მოუთხოვიათ როლი, პატივი, დიდება სახელი და აღიარება. ერთადერთი, რისი მარადიული სურვილიც აქვს, სცენაზე თამაშია. იგი ყოველთვის გაურბის მწვავე კამათს, არასოდეს, არასდროს, არავის უნახავს სიტყვითა და მოწოდებებით გამოსული კათედრის სხდომაზე, თეატრის კრებაზე, ყრილობასა თუ კონფერენციაზე. მას სიტყვა საქმიანი სწამს და სჯერა.

ზ. კვერენჩხილაძე ებრძვის ყველაფერს, რაც მას სულიერ დისკომფორტს უქმნის და რაც მის ზნეობრივ კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ცოტა უხეშია, მაგრამ არ აკლია ადამიანური სითბო, მკაცრია, თუმცა არის მშვიდიც, მთელი ცხოვრება იტანჯება არასრულფასოვნების კომპლექსით, ძალიან მორცხვია და ეს ბევრ რამეში უშლის ხელს, მისი ფსიქიკა ვერ უძლებს ყურადღების ცენტრში ყოფნას, ამიტომ გაურბის პრესას, ტელევიზიას, თითქმის არ არსებობს მისი ინტერვიუ, მას ვერ ნახავთ მსახიობთა თავშეყრის ელიტარულ ადგილებში, საახალწლო-საკარნავალო საღამოებზე, არასდროს, არც ერთი ხელისუფლების ნავში არ მჯდარა, მუდმივი შინაგანი პროტესტი აქვს ბევრი რამის მიმართ. ამიტომაც სულ დაძაბული და დამუხტული. როლებისადმი სიხარბე მსახიობის თანდაყოლილი თვისებაა, მისი მეგობრები ამბობენ, რომ ზინას შეუძლია სამი კაცისთვისაც კი ითამაშოს და ბოლომდე დაიხარჯოსო. სცენის ასეთ „გიჟს“ არაერთხელ უთქვამს უარი როლზე. თბილისში, რუსთაველის თეატრის გარდა, სხვა სცენაზე არ თამაშობს. თითქოს ასეთი ფიცი ჰქონდეს დადებული. ისე კი სხვაგან

თამაშს, სადაც კი ქართულ თეატრს დასჭირდა მისი ტალანტი, ყველგან უყოყმანოდ დასთანხმდა, იქნებოდა ეს ფოთი, დმანისი თუ რუსთავი.

ზინაიდა კვერენჩილაძეს აქვს ანალიტიკური აზროვნება და მკაცრი ლოგიკა. ამიტომაც იქცა იგი ქართული თეატრის ისტორიაში ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალური დრამის თეატრის ვარსკვლავად. საკმარისია გავიხსენოთ მისი ანტიგონე (ჟ. ანუის „ანტიგონე“), ფედრა (რასინის „ფედრა“), მედეა („ჟ. ანუის „მედეა“ და ევრიპიდეს „მედეა“), ელიზაბეტ პროქტორი (ა. მილერის „სეილემის პროცესი“) და სხვ.

შინაგანი წესრიგი მისი, როგორც მსახიობის, განმსაზღვრელი თვისებაა. ამის გამოა, ალბათ, რომ, როდესაც რაღაც საქმეა გასაკეთებელი, უკან არ დაიხევს, არ გილალატებს, ერთგულად და უანგაროდ დაგიდგება გვერდით. სხვათა შორის, ამ თვისებათა გამო, მას ხშირად შეხვდებით არა შოუ-პროგრამებში, არამედ საქველმოქმედო საღამოებზე, საიუბილეო კონცერტებზე. ზ. კვერენჩილაძე ყოველთვის იქ დგას, სადაც უანგარობა და სულიერობაა.

დღეს ზინაიდა კვერენჩილაძე საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. იგი სრულიად გამორჩეული ხელწერის შემოქმედია, რომლის ორიგინალურობას რამდენიმე ფაქტორიც განსაზღვრავს:

- * ქართულ თეატრში არ არის მეორე მსახიობი, რომელსაც ისეთი დიდი შინაგანი სულიერი ძალა და ძლიერი ემოცია ჰქონდეს, როგორიც მას;
- * ის არის პირველი მსახიობი ქართული თეატრის ისტორიაში, რომელმაც სათავე დაუდო ერთი მსახიობის თეატრს, როცა 1983 წელს ითამაშა რ. სტურუას სპექტაკლ „ამჰერსტის მშვენებაში“;
- * ზ. კვერენჩილაძე ერთადერთი მსახიობია, რომელიც დასჭირდა ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას, როდესაც პროფესორი დარეჯან რამიშვილი გამომხატველ სახეთა მოძ-

რაობათა ფუნქციასა და ბუნებას იკვლევდა, ექსპერიმენტის ჩასატარებლად ზ. კვერენჩხილაძე მიიწვია;

- * ქართულ თეატრში ზ. კვერენჩხილაძე პირველი ქალია საქართველოს ჩემპიონი ფარიკაობაში;
- * იგი არის ტრაგიკული კლასიკური ამპლუის მსახიობი, ინტელექტუალური დრამის ცოცხალი ლეგენდა;
- * დმანისის ძირძველ ისტორიულ მინაზე მისი ძალისხმევით დაარსდა ქართული თეატრი;
- * თანამედროვე თეატრში ზ. კვერენჩხილაძე ერთადერთი მსახიობი ქალია, რომლის მეტყველების კულტურას განსაზღვრავს გამართული, დახვეწილი სამეტყველო აპარატი, სწორი ინტონაცია, აზროვნება და ფსიქოლოგიზმი კითხვის დროს. ფაქტობრივად, იგი ჰორაციუსის პრინციპის გამტარებელი და დამნერგავია: „სწორი და დაკვირვებული აზროვნება, აი, რა არის შემოქმედების საფუძველი, მისი წყაროსთვალი“¹;
- * იგი ერთადერთი მსახიობი ქალია, რომელმაც სიმფონიური ორკესტრის თანხლებით წაიკითხა გოეთეს „ეგმონტის“ მონოლოგი.
- * ზ. კვერენჩხილაძე, ჯერ კიდევ აკრძალულ ეპოქაში, პოპულარიზაციას უწევდა ქართულ მწერლობას, კერძოდ, ძველ ქართულ პოეზიას. ამ მხრივაც განუზომელია მისი ღვაწლი;
- * ზინა კვერენჩხილაძე ერთადერთი მსახიობია, რომლის პროფესიონალიზმი და მოქალაქეობრივი მრწამსი გააფლერდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში, როცა 1989 წლის 9 აპრილს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის შეწირულ მამულიშვილებს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სიონის საკათედრო ტაძრიდან ძაძვებით მოსილი ზ. კვერენჩხილაძის სახით ქართველის დედა დასტიროდა;

1 ჰორაციუსი, პოეტური ხელოვნებისათვის, თბ., 1981, გვ. 25.

- * ზ. კვერენჩილაძე ერთადერთი მსახიობი ქალია, რომელმაც შემოგვთავაზა მის მიერ განსახიერებული ერთი როლის შემოქმედებითი ისტორია და ანალიზი. „ჩემი ანტიგონე“ – ასე ჰქვია იმ ნაშრომს, რომელმაც მსახიობის, როგორც თეატრალური მკვლევრისა და ფილოლოგის, უნარი წარმოაჩინა;
- * პედაგოგიური მოღვაწეობა მსახიობს დაეხმარა იმაში, რომ შექმნა კიდევ ერთი ნაშრომი, საკუთარი პრაქტიკისა და გამოცდილების სახელმძღვანელო-მეტყველების კულტურა საშუალო სკოლის ბავშვებისათვის (I-VII კლასი), რომელშიც კომპლექსურადაა გააზრებული მხატვრული აზროვნების განვითარება და ზეპირმეტყველების კულტურა (ნაშრომი ელის დღის სინათლეს);
- * მსახიობის არქივში ინახება დმანისის თეატრის შექმნის ისტორიის ამსახველი საკმაოდ მდიდარი მასალები. ეს ნაშრომიც თავის მკითხველს ელოდება.

ზინაიდა კვერენჩილაძესთან ერთი შეხვედრა და საუბარი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მოვლენა იქცეს ემოციურ სინამდვილედ!

* * *

ჩვენს რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე დროში, როცა ყოველგვარი სულიერი ფასეულობის დევალაცია მოხდა, როცა აღარაფერი შემოგვრჩა მშვენიერი და ამაღლებული, როცა მშობლიური ენა ქუჩური, ჟარგონული, ბაზარხანული გახდა, როცა ყველგან დამახინჯებულ, შერყვნილ და წაბილწულ ქართულს ვისმენტ, როცა სიტყვისადმი დამოკიდებულება არაა სათუთი – ასეთ ფონზე ზინაიდა კვერენჩილაძის მოღვაწეობა მხატვრული კითხვის დარგში არის მცდელობა, ჩვენი საზოგადოება მოაბრუნოს ესთეტიკური ღირებულებისაკენ, მოასმენინოს „საამური ქართული სიტყვა“ (ილია), რომ ქარ-

თულმა თეატრმა დაიბრუნოს თავისი ისტორიული ფუნქცია, ფეხზე წამოაყენოს ქართული ენა, მთელი თავისი მშვენიებითა და სიმდიდრით, ქართველ მაყურებელს შესთავაზოს მაღალმხატვრული და ღირებული, რომ მათი გემოვნება ამაღლდეს და გაკეთილშობილდეს!

მსახიობს კარგი, გამართული მეტყველება, სასიამოვნო ხმის ტემბრი რომ უნდა ჰქონდეს დღეს ამაზე არავინ დაობს, ოღონდ, ბუნებრივი ნიჭის გარდა, აუცილებელია:

ა) მსახიობს ესმოდეს რას კითხულობს და გრძნობდეს, რატომ კითხულობს, რომ უფრო ადვილად შეაფასო, თუ როგორ კითხულობს;

ბ) მსახიობმა კითხვისას უნდა შეძლოს აღიდგინოს ავტორის სულიერი მდგომარეობა, როცა ქმნიდა თავის ნაწარმოებს. ეს არის უმთავრესი იმის განსასაზღვრად, თუ როგორი იქნება სცენიდან მკითხველის ინტონაცია – უმთავრესი მხატვრული კითხვის დროს;

გ) მსახიობს კითხვისას მოეთხოვება აზროვნება და ფსიქოლოგიზმი, რომ ერთმა მეორეს არ შეუშალოს ხელი და პირიქით;

დ) არ უნდა დაირღვეს ლექსის ფორმა. ლექსი არ უნდა დაემსგავსოს პროზას, ანუ მკითხველს უნდა ჰქონდეს რიტმის, რითმისა და მუსიკის გამახვილებული შეგრძნება. მართალია, ლექსიცა და პროზაც მხატვრული აზროვნების ფორმაა, მაგრამ მათ ბევრი რამ განასხვავებს. ლექსში, უმეტესწილად, სიტყვაა აქცენტირებული, პროზაში - ფრაზა. სადაც რიტმი არ არის, იქ არც ლექსი მოიაზრება. რასაკვირველია, რიტმი პროზასაც გააჩნია, მაგრამ ლექსში ის უფრო მონესრიგებულია. კატეგორიულად დაუშვებლად მიგვაჩნია ლექსის პროზაულ მეტყველებასთან მიახლოებული გაბმითი თხრობა, რომელიც თანდათან მკვიდრდება ქართულ სცენაზე. ლექსის კითხვა მოითხოვს სულის მოძრაობის, შინაგანი ძვრების, გრძნობათა და განწყობილებათა რიტმულ წარმოდგენას, მეტ მუსიკასა და ჰარმონიას;

ე) მსახიობმა არ უნდა აკადროს მაყურებელს დამოძღვრა,

მენტორული ტონი, ჭკუის დარიგება. ამიტომ სიტყვაზე ზენოლა, ხაზგასმა ყველაზე ცუდი საშუალებაა აზრის გამოსახატავად;

ვ) უნდა დაიძლიოს და სცენიდან განიდევნოს პოზა და მანერა, პათოსურობა და ილუსტრაციულობა!

სიტყვა არის არსებობის სათავე, აზრი და საზრისი, სიტყვა მიკროკოსმოსია, ღვთის მსგავსი, რადგან თავად ღვთაება გაიაზრება სიტყვად: „პირველითგან იყო სიტყუა“ (ინ. 1,1). მხატვრულ სიტყვას აქვს თავისი მიზანი, რომელიც თვით ამ სიტყვის მიერ აგებულ და შექმნილ სამყაროში ცხადდება. ყოველი ნაწარმოები გვესაუბრება რაღაც კონკრეტულზე და იწვევს განსაკუთრებულ სულიერ განწყობას, რომელიც მსახიობმა ზუსტად უნდა მოიტანოს მსმენელამდე.

სიტყვათმეტყველება იგივე მხატვრული კითხვა, დეკლამაციაა, თუმცა არსებობს უფრო მაღალი ფორმა მხატვრული სიტყვის წარმოთქმისა, როცა ავტორისა და მსახიობის ხელოვნება, სიტყვით განცხადებული, თანხდება ერთმანეთს, როცა ერთმანეთს ერწყმის ფორმა და შინაარსი და, როცა მსახიობი სამეტყველო აპარატს მოუხმობს დაუტყვენელის, ირაციონალურის გადმოსაცემად, როცა მეტყველების უნივერსალიზმთან გვაქვს საქმე, როცა მსახიობის მიერ სიტყვა არის მარადიულად განცდილი.

ურთულესია სიტყვასთან ჭიდილი თუ ბრძოლა, რადგან სიტყვას და ბგერას თავისი აუცილებელი კანონები აქვს, აქვეა გასათვალისწინებელი ენის ფონეტიკურ-ინტონაციური ნიუანსები და, როცა მსახიობი ეუფლება ენის მრავალფეროვან, განუზომელ შესაძლებლობებს (რაც დღეს, სამუხრუდ, ძალზე იშვიათია), ჭეშმარიტ სიტყვათმეტყველებასთან გვაქვს საქმე.

ამ კუთხით შევეცდებით მხატვრული კითხვის დიდოსტატის, ზინაიდა კვერენჩილაძის, მეტყველების სპეციფიკის წარმოჩენას, რადგან, როგორც ფილოლოგი, ვფიქრობთ, რომ სასცენო მეტყველება, მხატვრული სიტყვა მასთან მწვერვალზეა ასული და ჩანს უნივერსალიზმი, საერთოდ, სიტყვიერებისა.

როდესაც თეატრმცოდნე მსახიობის შემოქმედებაზე წერს, იგი აანალიზებს იმ როლებს, რომლებიც მას განუხასიერებია, განიხილავს გმირის ხასიათსა და იმას, თუ როგორ შეასხა ხორცი მსახიობმა სცენურ სახეს. მაგრამ, როდესაც მსახიობთან სიტყვის სიმაღლეზე გინდა წერო, სათქმელი უნდა წარიტაცო ე. წ. მხატვრული კითხვის ხელოვნებიდან ან სპექტაკლების იმ ეპიზოდებიდან, რომლებშიც განსაკუთრებით იგრძნობა სიტყვის ძალა. ჩვენ საერთო სურათის საჩვენებლად რამდენიმე ნიმუშს განვიხილავთ.

ზინაიდა კვერენჩხილაძე ახერხებს სიტყვას მოუძებნოს თავისი ინტონაცია, ბგერას – სიძლიერე, ხანგრძლივობა, შექმნას მთლიანი მელოდიური კონტური იმისათვის, რომ სიტყვიერი ხატი ვიგრძნოთ, დავინახოთ და შევიმეცნოთ სათქმელის შინა-არსი. მსახიობის ხელშია მოდულის შექმნაცა და ამოხსნაც. მან ხელოვნების ქურაში უნდა გაატაროს, გამობრძმედოსა და ჩვენამდე მოიტანოს სიტყვით ამეტყველებული სათქმელი.

ზ. კვერენჩხილაძის წარმოთქმაში სიტყვას კეთილხმოვანება, ხმასავსეობა ენიჭება, სიტყვა მასთან დატვირთულია სახეობრივად. ამიტომ არასოდეს დაკარგულა მსახიობის ნათქვამი სცენიდან, ყოველთვის მისულა მსმენელამდე და იქ სამოქმედოდ დაუდევს ბინა, რადგან მას განსაკუთრებულად ესმის სცენური სიტყვის ფასი, რომ სიტყვას შეუძლია გამოამზეუროს სულის ყველაზე ფარული შრეები.

„ზოგადად აღებული ენა არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს გარკვეული ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური წესები და კანონზომიერებანი დამოუკიდებელი პიროვნების ნებისგან, თორემ თვით ენა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეულ პიროვნებათა საშუალებით ვლინდება, ცალკეული პიროვნების მეტყველებაში არსებობს“.²

1984 წელს რუსთაველის თეატრში რეჟისორმა გულსუნდა სიხარულიძემ დადგა შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“, რომელშიც დედა, გიული, განასახიერა ზ. კვერენჩხილაძემ. ამ როლის თამაში არ იყო დიდი სირთულე მსახიობისთვის, მაგრამ, თუ

2 ზ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 153.

გავითვალისწინებთ მის შინაგან მოწოდებას, ქაოსურ ატმოსფეროში წესრიგის, ურთიერთგაგებისა და სიყვარულის შეტანას, არც ისე ადვილი აღმოჩნდება მსახიობისათვის ხასიათის მიგნება. შ. შამანაძის დედა მეოცნებე ქალია და სწორედ იმას გვინდა გავუსვათ ხაზი, თუ როგორ აისახა ეს მეოცნებეობა ზ. კვერენჩხილაძის მეტყველებაში.

დედა თავის ვაჟიშვილს, ამირანს, აცნობს უახლოეს გეგმებს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება შეიცვალოს მათი ბინის კეთილმოწყობის საქმეში, რომ ამ უსახსროდ დარჩენილმა ოჯახმა ცოტა მაინც ამოისუნთქოს. ბოლოს და ბოლოს, მოუწყობლობის გამო, ამირანს მეგობრებიც კი ვერ მოუყვანია სახლში. კვერენჩხილაძის – დედა გატაცებით ყვება: „...სიგანეში ტახტი დაიდგმება და ორი მშვენიერი ოთახი გამოვა, ამირან!“

აქაა გაცხადებული ნატვრა არც თუ შეუძლებელ, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში თითქმის მიუღწევებელზე. მსახიობი სიტყვებზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ახერხებს გამოხატოს ნატვრა და ეს მის მეტყველებაში საოცრად იხსნება ემოციური მახვილისა და პაუზის მეშვეობით. „ა-მი-რან“ – ამ ბგერებში მთლიანად აჩვენა ზ. კვერენჩხილაძემ უმწეო დედის დიდი სურვილი, ნატვრა უკეთესი ცხოვრებისა, თითქოს ამ სიტყვებში მთლიანად გახსნა მსახიობმა გმირის ბუნება, რადგან აქ გამოიხატა დედის სათნოება, მზრუნველობა, ოცნება, უმწეობა, სევდაცა და ოპტიმიზმიც.

სრულიად სულისშემძვრელი იყო ზ. კვერენჩხილაძისა და ე. მანჯგალაძის სცენა ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატიდან“, როდესაც დედოფალი ზეინაბი თავისი რთული ცხოვრების ერთ საიდუმლოს გაანდობს ოთარ-ბეგს³. იმდენად გადამდებია ემოცია ზეინაბისა და ისეთი ესთეტიკითაა მოწოდებული, რომ გულგრილი ვერავინ დარჩება. ყოველი სიტყვა ტკივილიან მუსიკად იღვრება და ქმნის ერთ მთლიან სიმფონიას. საერთოდ,

3 საქართველოს რადიოს ოქროს ფონდი ინახავს ამ ჩანაწერს, ისე როგორც მსახიობის შემოქმედების დიდ ნაწილს. მასალების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით რადიოს დრამატული პროგრამების რედაქტორს, ქნ. გულიკო კაკაბაძეს!

მსახიობისთვის ქართული ენა მუსიკად აღიქმება და, შესაბამისად, მისი მეტყველებაც საოცრად მელოდიურია, მასში გახსნილია მაქსიმალური პოტენციური შესაძლებლობა მშობლიური ენისა. „სად არის ეს დედოფალი, ვის უწოდებ დედოფალს?!“ – გაისმის ზეინაბის სიტყვები ისე, რომ სრული ირონია სდევს სიტყვა „დედოფალს“, თუმცა ამ ცინიზმში არის დიდი სევდა ობიექტურად დაუძლეველი რეალობის მიმართ. ამას მოჰყვება ზეინაბის ცხოვრების ყველაზე ტკივილიანი ისტორია. ისეთი ძლიერი, ემოციურად ზუსტად გათვლილია ზ. კვერენჩხილადის სიტყვა, რომ სულს უხუთავს მსმენელს და, ამავედროულად, აჯადოებს სიტყვათმეტყველის შთაგონებული ინტონაცია.

სრულიად უპრეცედენტო მოვლენასთან გვექონდა საქმე 1983 წელს, როცა რუსთაველის თეატრში რ. სტურუამ დადგა უილიამ ლიუსის „ამჰერსტის მშვენება“. ქართულ თეატრში ამით საფუძველი ჩაეყარა ერთი მსახიობის თეატრს – მონოსპექტაკლის ესთეტიკას. ორი მოქმედების განმავლობაში სცენაზე იდგა ერთი მსახიობი, რომელიც გვაოგნებდა ამერიკელი ქალის რომანტიკული და უცნაურად მდიდარი პოეტური სამყაროს ჩვენებით. რიტმებისა და განწყობილებების ეს თავბრუდამხვევი სანახაობა უფრო „სულითა საცნაური“ იყო, რაღაც შინაგანი ხილვით მოწოდებული. ემილი დიკინსონის ურთულესი პოეტური და ფსიქოლოგიური სამყარო დიალოგური მონოლოგის რეჟიმით მოგვანოდა მსახიობმა. მისი გმირი, სულ ვილაცაზე შეყვარებული, რომანტიკული და მწარედ მეოცნებე, საოცრად ნაზი და ქალურად გამომწვევი იყო, როცა თავის წარმოსახვაში ჯეიმსთან უნდა ეცეკვა, ცრემლნარევი ხმითა და ბავშვური გულუბრყვილობით ესაუბრებოდა, ლექსებს უკითხავდა გარდაცვლილ მამას. მამისეული სახლი და ბაღი ისეთი ნოსტალგიით იყო გაცოცხლებული, რომ გვეროდა, როგორ აგროვებდა ედემს ფართოდგამოლილი სუსტი ხელებით, როგორ წაღმა-უკულმა მოგზაურობდა დროში ან რა მწველი იყო ტომის ჰიგინსონის მოლოდინი რვანლიანი მიმონერის შემდეგ, ან როგორი შინაგანი სილალით გააცოცხლა ზ. კვერენჩხილადემ საუბრები მოძღვართან და როგორი მშვიდი ლირიზმით

დაგვემშვიდობა, როცა საკუთარ გარდაცვალებას გვიამბობდა. ემილი დიკინსონის ცხოვრების უმთავრესი პრინციპი: „გულ-გატეხილს თუ რწმენა ვაჩუქე, ერთი ტკივილი თუ გავაყუჩე, – ქვეყნად ამოდ არ მიცხოვრია“ – ითქვა ისე, რომ მას არ დაჰკლებია ფოსფორესენცია, ანუ შინაგანი ნათლის პოვნა, ურომლისოდაც, როგორც თავად გვარწმუნებდა პიესაში, პოეზია ვერ იარსებებს.

ზედმეტად მიგვაჩნია იმაზე საუბარი, რა შეძლო მსახიობმა და როგორი სირთულის ამოცანა დაძლია ჟ. ანუის ანტიგონეს თამაშისას. სრულიად განსხვავებული იყო მისი სიტყვა ა. ჩხაიძის გახმაურებულ პიესაში „სამიდან ექვსამდე“, რომელშიც საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული ბალის მასწავლებელი განასახიერა და რომლის მეტყველებაში კარგად გამოვლინდა მისი მიზანმიმართული მცდელობა საქმის მოგვარებისა და ბალის ღირსების დაცვისა. იმდენად განსხვავებული იყო ზ. კვერენჩილაძის ინტონაცია, რომ, მართლაც, ძნელად დაიჯერებდით, ეს მისი ხმა თუ იყო. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მსახიობის გმირების მეტყველება, მართლაც, იმდენად სხვადასხვაგვარია, იმდენად მრავალფეროვანია მათი ინტონაცია, რომ ამ მხრივ ძნელია ქართულ თეატრში მეორე მსახიობის დასახელება, რომელთანაც ასე სხვადასხვაგვარი იყოს მეტყველების მანერა. მაგალითად, არაფრით არ ჰგავს ფედრას მეტყველება ლელასას, ანტიგონესი–საბავშვო ბალის გამგისას, კლეოპატრასი–მერი პოპინსისას, მედეასი–ტურასას, პონსია დორსის–ემილი დიკინსონისას და ა. შ.

დიდი წილი მსახიობის რეპერტუარისა პატრიოტულ თემატიკას ეთმობა, ასევე მნიშვნელოვანია ხალხური პოეზიის ხვედრითი წონა, ძირითადად, ანსამბლ „ფაზისთან“ ერთად; 9 აპრილისა და ქართული ენის მოტივები. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში რელიგიურმა ლირიკამ წამოიწია წინა პლანზე.

ზინაიდა კვერენჩილაძემ კარგად იცის, რომ სცენიდან

კითხვა უდიდესი ტვირთია—ეს ლიტერატურის პოპულარიზაცია, მსმენელამდე ახლებური მიტანაა. ამიტომ ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საქმეს. საზოგადოებამ უნდა მიიღოს შემოთავაზებული ვარიანტი! ამდენად, მსახიობი მუდამ ძიების პროცესშია, სულ ღელავს, ცდილობს, მის მიერ წაკითხული ერთმანეთს არ ჰგავდეს, ეძებს მელოდიურ-ინტონაციურ ფორმებასაც ისე, რომ არ დაირღვეს მეტყველების ბუნებრიობა. ამ მხრივ საინტერესოა ხალხური „მზევ შინა“, რომელიც მან წაკითხა 1990 წლის 25 მაისს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მუსიკალურ-ლიტერატურულ საღამოზე „ნუთისოფელი ასეა“. ეს საღამო საეტაპო მნიშვნელობისა იყო მის შემოქმედებაში.

მსახიობის კითხვაში ისმოდა ქართული ენის მელოდიკის ინტონაციური გრადაციები: მზევ, შინ შემოდიო! სცენიდან იღვრებოდა მუსიკალური ფრაზები. „მზევ, შინ შემოდიო“ – თითქოს მღერიან, თითქოს ყვებიანო. ვერ დაიჭერდი, სად მთავრდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე. მთლიანობაში კი მონოღებული ფრაზა ყოველმხრივ დასრულებული და სრულყოფილი იყო.

ისიც უნდა ითქვას, რომ ზ. კვერენჩხილაძე გრძნობის, განცდის მსახიობია, ამიტომ მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ სიტუაციაში სიტყვათმეტყველებს. ამის შესახებ თეატრმცოდნე მანანა გეგეჭკორი წერს: „თუ საღამოს გარკვეული თეატრალიზებული ფორმა მოძებნილია, ლექსსაც თითქოს უკეთ კითხულობს, რადგან ამ შემთხვევაში იგი გამოდის არა როგორც ლიტერატურული საღამოს მონაწილე, არამედ მისი ფუნქცია უფრო ახლოსაა სპექტაკლში როლის შესრულებასთან!“⁴

„მზევ შინას“ კითხვის დროს სიტყვიერი ხატის შესაქმნელად მსახიობს სცენამაც შეუწყო ხელი. მის უკან იდგა გუნდი, რომლის სიმღერის ფონი ავსებდა დარბაზს, ირგვლივ პატარები ეხვივნენ, თავად კი წიგნით ხელში ჩამჯდარიყო ბავშვებში და მათ უკითხავდა:

4 მ. გეგეჭკორი ზინა კვერენჩხილაძე, თბ., 1986, გვ. 20.

„მზევ შინა და მზევ გარეთა,
მზევ, შინ შემოდო,
უყვილია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდო“.

ამკარა იყო მსახიობის დამოკიდებულებაც თითოეული ფრაზისადმი:

„ჩვენ ვაჟი დაგვბადებია“ – **თითქოს მზეს ახარებს**

ვაჟის მამა შინ არ არის – **თითქოს არწმუნებს**

ბაზარს არის აკვნისთვინა

მზევ, შინ შემოდო – **აქ კი ურჩევს – და, ბოლოს,**

„მზევ შინა და მზევ გარეთა, მზევ, შინ შემოდო“

მონოღებასავით გაისმოდა, მაგრამ არამც და არამც არ დარღვეულა თხრობის მელოდიური ტონი და რიტმი. ხასიათები მელოდიის მიღმაც გახსნა მსახიობმა, მაგრამ ისე კი, რომ სიტყვებს დაჩნეოდა და მელოდიურ-ინტონაციურ ქარგაში თავისი ადგილი დაეჭირა.

ბუნებრივია, მსახიობი მეტყველების დროს ხან ლოგიკურ მახვილს მიმართვს, ხანაც – ემოციურს. არის შემთხვევები, როცა ლოგიკურ-ემოციური მახვილი მსახიობის მეტყველებაში თანხვედრა ერთმანეთს და მიიღწევა სრული ჰარმონია.

სცენის სიღრმეში იდგა გუნდი, წინ, მიკროფონებთან, კი – ზურაბ ქაფიანიძე და ზინაიდა კვერენჩხილაძე. უდიდესი სიყვარულითა და გატაცებით კითხულობდა ზ. ქაფიანიძე შემდეგ სტრიქონებს:

„პატარა ბიჭი ლოცულობს,

პატარა ეკლესიაში,

თვით უფალს ჩაუნერია,

ანგელოზების სიაში“.

ამის გაგრძელებაა ის ერთი სტროფი, ზ. კვერენჩხილაძემ რომ უნდა წარმოთქვას. დუეტი უნდა შედგეს. მაგრამ აქ მსახიობი დიდი პრობლემის პირისპირ დადგა. როგორ ხასიათში გადაწყვიტოს და აამეტყველოს სათქმელი:

„პატარა გოგო ლოცულობს,
ტყეს სული გაუნაბია
და იქვე, ნათლით შემკრთალი,
თეთრი ციკანი აბია“.

თითქოს გამოძახილი, თუნდაც გაჯიბრება?! მაგრამ აქ, ამ სიტყვების წარმოთქმისას, თუ კვლავ სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე დამოკიდებულება გამოვლინდა, ეს პარტნიორის ხასიათის გამეორება იქნება. არადა, მართლაც, ძნელია სხვა სახის შექმნა. და მსახიობი მაინც ოსტატურად წყვეტს პრობლემას. იგი აღფრთოვანებას გამოხატავს არა იმ გოგონას მიმართ, რომელიც ლოცულობს, არამედ იმის მიმართ, რაც ამ ლოცვის შედეგია, ე. ი. მისი დამოკიდებულება მლოცველისადმი უფრო აღწერილია. ზ. კვერენჩილაძეს იმდენად არ ახარებს გოგონას უმანკოება, რამდენადაც ხიბლავს შედეგი იმ სინამდისა, რაც ირვეგლივ სუფევს. მსახიობი ამაყად იწყებს:

„პატარა (ფსიქ. პაუზა) გოგო ლოცულობს (მელოდიურად, ერთად).

ტყეს (მცირე პაუზა, ლოგ. მახვილით) სული გაუნაბია,
და იქვე (შეყოვნება), ნათლით შემკრთალი (რიტმულად),
თეთრი ციკანი აბია“.

ეს იყო ისეთი განუმეორებელი შემთხვევა, როცა ურთიერთს ბრწყინვალედ შეერწყა ლოგიკურ-ემოციური მახვილი, ინტონაცია, მეტყველების ტემპი და რიტმი.

საერთოდ, მახვილი ესაა მეტყველების აქტის დროს ელემენტის გამოჩენა, გამოყოფა და, ამასთანავე, სხვა მეტყველების ნაწილებთან მისი დაპირისპირება.

ენობრივი მახვილი ორ ჯგუფად იყოფა:

1. ლოგიკურ-ემოციური მახვილი;
2. ლინგვისტური მახვილი.

ლოგიკური მახვილი აზრის ნაირფეროვნებას გამოხატავს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა როგორ კითხულობს მსახიობი ილიას „ნანას“. ლოგიკური მახვილის გამოყენებით ზ. კვერენჩილაძე აღწევს ტექსტისა და ქვეტექსტის შინაგანი ძვრების გამოვლენას. ეს მახვილი დიდ შინაგან წონასწორობა-

საც მოითხოვს. მსახიობს უნდა ჰქონდეს თავისი დამოკიდებულება ტექსტისადმი – თემა უნდა აღელვებდეს, სხვაგვარად სხვას ვერ აღელვებს, სხვის სულს ვერ შეძრავს.

ემოციური მახვილი გრძნობის ნაირფეროვნებას გამოხატავს. ამ მხრივ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივის“ ამეტყველების ზინაიდა კვერენჩხილაძისეული ვერსია. აქ ფსიქოლოგიური პაუზის მეშვეობით ინტონაციის გამომსახველობაა ძლიერი. მაგ., „გუშინდელ დღეს დაიბადა, გუშინდელ დღეს, მოვდივარ, მოვდივარ, მო...“ მერე კი ახალი ემოციით: „ახლა კი დაიძახა კვნესითა და ვაებითა“... „ოთარანთ ქვრივზე“ ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ ერთი რამ ახლავე უნდა ითქვას, რომ ზ. კვერენჩხილაძე ამ ნაწარმოების კითხვის დროს მთლიანად შემოსილია ავტორისეული ნათლითა და სულით. მსახიობის ფუნქცია ამ შემთხვევაში როლის შესრულებას უახლოვდება. ამ დროს ის ცხოვრობს იმით, რასაც მოგვითხრობს.

ლინგვისტური მახვილი, თავის მხრივ, ორი ტიპისაა:

1. სიძლიერის, ანუ დინამიკური, მახვილი სიტყვაში რომელიმე ხმოვანს გამოყოფს, მეტ ძალას მისცემს. დინამიკური მახვილის გამოყენების საოცარი ნიმუშია მსახიობის მიერ ამეტყველებული ანა კალანდაძის „საქართველოო, ლამაზო“ და ირაკლი აბაშიძის „ხმა კატამონთან“;

2. სიმალლის, ანუ მუსიკალური, მახვილი მთელი სისრულით გამოიყენა მსახიობმა, როცა იმავე საღამოზე („ნუთისოფელი ასეა“) ორკესტრის თანხლებით შეასრულა ხალხური „სიზმარი“. ეს იყო სინთეზი მუსიკისა და სიტყვის ახმიანებისა.

ჩაბნელებულ სცენაზე იდგა გუნდი, შემოვიდნენ ზ. კვერენჩხილაძე და ვოკალისტი მარინე აბულაძე, შესრულდა შ. ჩაკვეტაძის მუსიკა, კომპოზიციას ჰქონდა საოცრად თეატრალური ფორმა. მონაწილეები ავსებდნენ ერთმანეთს.

ინყებდა ვოკალისტი – „ალვის ხე რომ წამოიქცა, ნეტავ, დედავ, რაო“.

შედიოდა გუნდი – ნეტავ, დედავ, რაო

მსახიობი უპასუხებდა – ნეტავ, დედავ, რაო

ასე გრძელდებოდა და იშლებოდა მოქმედება სცენაზე.

„შვილო, შენი ცრემლი არის,
შვილო, შენი კუბო არის“...

გოდებდა ზინაიდა კვერენჩხილაძე. ეს იყო საოცრება, იდუმ-
ალი მწვერვალი სიტყვისა და მუსიკის ერთიანობისა. აქ მუსიკა
და სიტყვა, ქართული სულისა და გენის ეს ორი გამოვლენა, ერ-
წყმოდა ერთმანეთს. დედის გოდება, სიტყვები უკანასკნელ ნი-
უანსამდე გახსნა მსახიობმა, სულისშემძვრელი იყო მისი მოთქ-
მა, მისმა ვაებამ არ იცოდა ბოლო, არ ჰქონდა დასასრული.

ყოველ ბგერას ახასიათებს სიძლიერე, სიმაღლე (ანუ ტონი)
და ხანგრძლივობა. „სიზმრის“ შესრულებისას ყველაფერი ჩანდა.
იგრძნობოდა მსახიობის დიდი მუსიკალობა, რიტმი და სცენი-
დან იღვრებოდა ძლიერი ემოცია, განცდათა სიღრმე უმაღლეს
რეგისტრში ავიდა. აქ არ ისმოდა ოდენ სიტყვები, მათ ძალას
მატებდა გრძნობა, მსახიობის შინაგანი განწყობილება, სიღ-
რმე ტრაგიზმისა. ალბათ, ამ შემთხვევაზეც შეიძლება ითქვას,
სიტყვის აღმძვრელი მიზეზი ღვთაებრივი შთაგონებაა, რომ
სიტყვა ძალაა სულისა.

ტრაგიკული ტალანტი – იბადება იშვიათად, შესაძლოა,
საუკუნეში ერთხელაც კი. იგი გამოხატავს ერის საუკეთესო
თვისებებს: ღირსებას, სიამაყეს, ურყეობას, სულიერ ძლევა-
მოსილებას, თუმცა XX საუკუნემ ამ ნიჭის მატარებელი ორი
გამორჩეული მსახიობი შვა: ვერიკო ანჯაფარიძე და ზინაიდა
კვერენჩხილაძე.

იმისათვის, რომ ავტორისეული მხატვრული ჩანაფიქრი
მსახიობმა მსმენელამდე სცენიდან თქმული სიტყვის მეშვეობით
დაიყვანოს, აუცილებელია ქვეტექსტის მოძებნა. სწორედ აქ
ვლინდება მისი ქმედითი ამოცანა, რომელიც უპასუხებს კითხ-
ვას – „როგორ“? ეს შეკითხვა იდგა ზინაიდა კვერენჩხილაძის
წინაშე, როცა „ოთარაანთ ქვრივს“ მოჰკიდა ხელი. დიდი იყო

ძალაც ცდუნებისა, რადგან არსებობდა საკმაოდ გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ოთარაანთ ქვრივი მამაკაცური ბუნების, უკმეხი და ავი დედაკაციაო, „რკინის ჯოხით“ ხელში, თითქოსდა მასში ქალური აღარაფერი იყო – მსახიობს ეს სტერეოტიპი უნდა დაეძლია.

ზ. კვერენჩილაძემ, ფაქტობრივად, ტექსტის გააზრების ახალი მხატვრული კონცეფცია შემოგვთავაზა. მან სწორედ ოთარაანთ ქვრივის შინაგანი ბუნება წამოსწია წინ, მისი მოყვარული გული, რომელიც ყველასათვის ერთნაირად უცემდა. აქედან გამომდინარე, მსახიობმა ფსიქოლოგიური დატვირთვა მისცა სიტყვას და გამოძერწა ქვრივის ნატიფი ბუნება. მან ქვეტექსტი ფსიქოლოგიური პაუზისა და ინტონაციის საშუალებით გამოავლინა, მნიშვნელოვნად დაიტვირთა სათქმელი მახვილებითაც და მივიღეთ სრულიად განსხვავებული ოთარაანთ ქვრივი.

„ოთარაანთ ქვრივის“ კითხვის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზ. კვერენჩილაძის მიერ ამ ნაწარმოებისადმი ემოციური მიმართება, რაც თანაგანცდას წარმოშობს. ეს არცაა გასაკვირი. „ცხოვრებაში ადამიანი ათასგვარ სიტუაციაში აღმოჩნდება და თითოეულის მიმართ სხვადასხვა ემოციური დამოკიდებულება უჩნდება. გადის დრო და ეს მოგონებები თავს იყრიან მასში. განცდილი მოვლენის გახსენების შემთხვევაში წარმოიქმნება ხელახალი განცდის ე. წ. თანაგანცდის პროცესი“.⁵

ზ. კვერენჩილაძე ახერხებს, თანამოზიარედ გაგვიხადოს სიტყვათმეტყველების პროცესში. მისი ოთარაანთ ქვრივის ტკივილი ჩვენი ტკივილიცაა. ძლიერია სიტყვის ქმედითი ძალა. ამიტომაც, რომ მსახიობის მეტყველება მიზანდასახულ მოქმედებად იქცევა. მას აქვს დიდი მხატვრული პოტენცია, რომელსაც კარგად იმორჩილებს და ამის საშუალებით ზუსტად მოძებნის ხოლმე ხასიათებს. ეს მნიშვნელოვანი და ყურადსაღები რამაც, რადგან სიტყვათმეტყველება რიტმულ გამოსახ-

5 ბ. ნიკოლაიშვილი, სასცენო მეტყველების კომპლექსური სწავლება, თბ., 1987, გვ. 153.

ულებაშიც ვლინდება. „ოთარაანთ ქვრივის“ კითხვისას მსახიობმა მოგვცა სრულიად ახალი გააზრება არა მარტო გმირის ხასიათის, არამედ მისი სიტყვისა.

განცდის სიღრმე და სახის უნივერსალური სიტყვიერი განსახოვნება ჩანს ზ. კვერენჩილაძის მიერ ამ თხზულების კითხვისას. ტკივილი და სიამაყე დედისა – ეს ფსიქოლოგიურად მძაფრი განცდა დიდი ოსტატობით გადმოგვცა მსახიობმა, მის გმირს იმედი აქვს, რომ გიორგის შეხვდება მარადიულ სოფელში. ძლიერია ძახილი შვილისა, ძალა, რომელიც ასე ეწევა სწეულ ოთარაანთ ქვრივს. გასაოცარი სინაზებით გვიყვება მსახიობი ამ სცენას: „...კიდევ მეძახის, მოვდივარ... მოვდივარ... დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს“...

შობას მოევლინა ოთარაანთ ქვრივის მხოლოდშობილი გიორგი ქვეყანას და ამავე დღეს განეშორა წუთისოფელს მისი დედაც, უკვე მოღლილი, გატეხილი, ცხოვრებისაგან გაუხარეული ოთარაანთ ქვრივი.

ზინაიდა კვერენჩილაძის სიტყვათმეტყველებამ ოთარაანთ ქვრივის მეტრძოლ ბუნებასა და სათნო არსების გამოვლენაში იჩინა თავი. სწორედ ადამიანურ განცდათა სირთულე, გრძნობები, აზრის სიღრმე და სიდიადე გამოსჭვივის მსახიობის მეტყველებიდან, მთელი თავისი არსება, გული, სული მისცა მან ოთარაანთ ქვრივს, მაგრამ თავად დამოუკიდებელი დარჩა.

აქვე შევჩერდებით ზ. კვერენჩილაძის მიერ ქართული პროზის დიდების, ნიკო ლორთქიფანიძის, „თავსაფრიანი დედაკაცის“ წაკითხვის თავისებურებაზე.

თავსაფრიან დედაკაცს ბედი სიკვდილს უქადადა და, როცა იგრძნო, „ალარავისთვის ვარ საჭირო, ვარ სრულიად ზედმეტი“ – იგი გათავისუფლდა ყოველგვარი კომპლექსისაგან, მან „დაიძინა“. ალბათ, ასეთ შემთხვევაზეა ზედგამოჭრილი მიქელანჯელოს სიტყვები, თავისი მძინარე ქანდაკების კვარცხლბეკზე რომ დანერა: “ტკბილ არს ძილი და უფრო ტკბილია იქცე ქვად, სანამ სამარცხვინო დამცირება გრძელდება, აღარაფერს ვხედავდე, აღარაფერს ვგრძნობდე. აი, ჩემი ნეტარე-

ბა. მაშ, ნუ მალვიძებ. ჰა, ჩუმად იყავ!“⁶

ზ. კვერენჩხილაძე საკუთარი ემოციებით იჭრება ტექსტში. ამდენად, პირადი ემოცია და სუბიექტური დამოკიდებულება იქცევა განსახიერების ერთ-ერთ საგნად. მსახიობი სწორედ საკუთარი თვალსაზრისით, პოზიციით და, რაც მთავარია, ემოციებით ერევა ნოველის შინაარსში. ამის გამოხატვას იგი აღწევს ინტონაციური მახვილების ოსტატური ლავირებით, სევდიანი და ლირიკული ტონით. „თავსაფრიანი დედაკაცის“ სიტყვათმეტყველებისას მსახიობი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რიტმს. ემოციათა გაძლიერებას ემსახურება სწორედ მკითხველის შინაგანი დინამიკა და მკვეთრად გამოხატული ინტონაცია.

ზინაიდა კვერენჩხილაძე ისე კითხულობს ამ ნოველას, თითქოს საკუთარ თავზე აქვს ყველაფერი გადატანილი, გენიალური სისადავე კითხვისას და მიზანი – წმინდა განცდა! ასე გადმოგვცემს, ასე გვიყვება სიტყვათმეტყველი ერთი მდიდარი და ამაღლებული სულის ტრაგედიაზე, შეუმჩნეველი ადამიანის ხვედრზე, რომელიც, „ნაცვლად დიდი სიყვარულისა და თაყვანისცემისა, დაუტირებელიც კი მიდის ამ ქვეყნიდან“.⁷

ზ. კვერენჩხილაძემ იგრძნო ნ. ლორთქიფანიძის სიტყვის ძალა, მისი სინტაქსის თავისებურება, წერის განსხვავებული სტილი და თავის მეტყველებას მეტი ექსპრესიულობა შესძინა. მსახიობის ფრაზა მოკვეთილია და მოქნილი, დინამიკური და რიტმულია თხრობა, ყოველივეს მსჭვალავს წმინდა განცდა-ემოცია. ზ. კვერენჩხილაძემ მთელი ნოველის თხრობის მანძილზე იცხოვრა თავსაფრიანი დედაკაცის ცხოვრებით, მისი სულით, გრძნობით, განცდითა და ჩვენც ვირწმუნეთ განსაკუთრებულობა ავტორისა და სიტყვათმეტყველისა. გამორჩეულად შთამბეჭდავია მსახიობი, როცა ნოველა კულმინაციას უახლოვდება. ნარუმულია ზ. კვერენჩხილაძის მიერ უდიდესი ექსპრესიითა და განცდით მოთხრობილი:

„მინვა.

6 იპოლიტ ტენი, ხელოვნების ფილოსოფია, თბ., 1990, გვ. 26.

7 ე. აბრამიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, თბ., 1977, გვ. 112.

გრძნობს თავის სიმძიმეს, ტანის სიმჩატეს.

არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები:

„შეგენანა“

„მოიმადლიერო“

„საღირალი პატივი“

და მოულოდნელად მოკვეთილი, დასაბუთებული გადაწყვეტილება:

„აღარავისთვის ვარ საჭირო, სრულიად არავისთვის, ვარ სრულიად ზედმეტი... დიდი ხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი!“...

ზ. კვერენჩილაძემ ამ შემთხვევაში გააცოცხლა გარკვეული ობიექტური ვითარების განცდის ასპექტი. მან ფანტაზიის ცოცხალი ხატები აღძრა მსმენელში, ნათელი გრძნობადი სახეები წარმოშვა ჩვენს წარმოსახვაში. მსახიობმა ჯერ შეიმეცნა „თავსაფრიანი დედაკაცი“, მერე განიცადა და შემდეგ „იმოქმედა“, აღძრა ორიგინალური შეგრძნება, მიაგნო თავსაფრიანი დედაკაცის ისეთ სულიერ შრეს, რომელმაც ძლიერი, შთამბეჭდავი გახადა სათქმელი.

სევდითა და ღუმილით, გამოუთქმელი განცდებითაა დატვირთული მსახიობი. ეს, თავისთავად, განაპირობებს თხრობის პათოსს. მწერლის ინტონაციაში, სტრიქონებსა და სტრიქონებს შორის დაფარულ გრძნობებში ახერხებს იგი თავისუფლად წაიკითხოს ავტორის უსაზღვრო თანაგრძნობა ამ უბრალო დედაკაცის მიმართ.

ზინაიდა კვერენჩილაძე კლასიკური ტრაგიკული ამბლუის მსახიობია. იგი ღრმა ტრაგიზმით განასახოვნებს შესაფერის სათქმელს და მსმენელს ეძლევა საშუალება, თავადაც გახდეს თანამოზიარე დიდი უბედურებისა, ამგვარად განიცადოს ე. წ. კათარსისი, განიწმინდოს, ვნებათა გზით დაითმინოს. მსახიობს შეუძლია ბევრის ტკივილი დაიტეოს, განიცადოს, მერე კვლავ მსმენელამდე მიიტანოს, ჩააფიქროს, სულიერად აამაღლოს და ამას მიაღწიოს ქართული მხატვრული სიტყვის ძალითა და მადლით.

მეტყველება ესაა შინაგანის გამოვლენა გარეთ თავისი ავ-კარგით. ამიტომ ადამიანის საუბრის მანერა ხშირად წარმოაჩენს მის ფსიქო-ემოციურ სამყაროს, ხასიათს, ბუნებას, სულიერობას. „სიტყვა არ არის მარტო ბგერათა ერთიანობა; მასში განსაკუთრებული მისტიკური ძალაა ჩადებული“.⁸ სიტყვას აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. იგი აღიქმება, როგორც სიმბოლო, როგორც ხატი. სიტყვა ქმედითი ფენომენია, საქმეს უდრის. ერთმა სიტყვამ შეიძლება გაცხონოს ან წარგწყმიდოს. ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა სიკვდილის ჟამს აღიარა ქრისტე და კაცთაგან პირველი შევიდა სასუფეველში. თავად მაცხოვარი ასე გვაფრთხილებს: „სიტყუათა შენთაგან განმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (მ. 12.37). სიტყვა ითვლება უსისხლო მსხვერპლად. ლიტურგია სხვა არაფერია, თუ არა სიტყვით აცხადებული, სიტყვაში გახსნილი და ახსნილი ლოცვა-ვედრება, ადამიანის სულის წვა, რომლის ნათელიც არის სიტყვა. ამიტომაც სიტყვა აღსავსე დიდი მადლითა და საიდუმლოებით, ამიტომაცაა იგი ლოგოსური.

ერთია მეტყველება, მეორე – მისი გამომსახველობა. ზ. კვერენჩილაძე რასაც კითხულობს, იმას პლასტიკითაც ავლენს. აქ ერთად იბადება ორივე. სიტყვას თან ახლავს შესაბამისი სახეობრიობა. არ იკარგება ენის შემოქმედებითი ფუნქცია. მსახიობი სცენაზე თავადაა მეტყველი, მეტყველებამდე ამეტყველებული, მისი სიტყვა წარმოთქმამდეა თქმული და ამას აღწევს საოცარი უშუალობით. ის ცხოვრობს, განიცდის, ღელავს. მასში სულიერად, „ხმა-ყოფამდე“ არსებობს სიტყვა, როგორც გამჭოლი ღვთაებრივი და ადამიანური ქმედებისა.

ასე განიცადა მსახიობმა ის დიდი ტრაგედია, რომელიც ქართველმა ერმა გადაიტანა 1989 წლის 9 აპრილს.

გოდებდა გულში დაჭრილი, სისხლგამშრალი, ნამეხარი, თუმცა მაინც მუხლმოუყრელი საქართველო. გამოუთქმელი იყო დარდი და მწუხარება. სიტყვის თქმა უჭირდა ქართველობას!

8 ილია მეორე, სააღდგომო ეპისტოლე, თბ., 1991, გვ. 12.

დადგა დღე, როცა იბერია მისთვის წამებულ შვილებს ეთხოვებოდა...

მდუმარედ იდგნენ რუსთაველზე ლექსებით შემოსილი ჭადრები, უდიდესი ტრაგედია იკითხებოდა ამ დუმილში. ყვავილებით შეემოსათ სიონის საკათედრო ტაძარი. საქართველო უკანასკნელ გზაზე აცილებდა ერისა და მამულისათვის წამებულ და თავდადებულ შვილებს. სიტყვის თქმა უჭირდა ქართველობას!

კათალიკოს-პატრიარქი სიონში პანაშვიდს იხდიდა. უსიტყვოდ ლოცულობდნენ ქართველები.

აი, ასეთ დროს და აქ, ამ წმიდა ადგილზე, მოუხმეს ზინაიდა კვერენჩხილადეს, რათა ქართველი დედის სახელით დაეტირებინა მსხვერპლშენიერი შვილები.

ქართველობას ბრძოლის ერთადერთ საშუალებად მხოლოდ სიტყვა დარჩენოდა. რაოდენ რთული იყო იმ დიდი პრობლემის დაძლევა, რომელიც ზ. კვერენჩხილადის წინაშე იდგა. მას ერის სათქმელი უნდა ეთქვა, თანაც ისე, გული არავის დარჩენოდა ნაკლული. ტკივილი ბოლომდე უნდა თქმულიყო, სიმართლეს გზა უნდა ეპოვა, ქართველი დედის გოდება ტაძრიდან გუმბათებს მიღმა სამყაროში უნდა აჭრილიყო, რათა უფალს ესმინა ჩვენი!

ამას სჭირდებოდა დიდი მოქალაქეობრივი, მამულიშვილური, მგრძნობიარე გული, დიდი რწმენა და სასოება. ამას სჭირდებოდა წრფელი და ნათელი გრძნობა, თანაც, ძლიერი ემოციის გამოხატვის მკაცრი კრიტერიუმი – დიდი თავდაჭერა!

ღვთიური შთაგონებით დაინერა ტექსტი ხელოვნებათმცოდნე ინგა ბახტაძის მიერ და უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სიტყვათმეტყველმა სიონის საკათედრო ტაძრის ვაჟთა გუნდის თანხლებით (რეგენტი ნ. კიკნაძე) დაიწყო:

„საცნაურ იქმენ შენ, სულო ქართულო, ან კი...

სიბრძნითა სიმხნე აჩვენე!

რატომ უნდა დაემსჭვალაო ჯვარს, ქართველო, რომ გას-
ხივოსნდეს სული შენი, ვითარცა დასტური სიცოცხლისა და
გაცხადება შენი არსებობისა.

რატომ უნდა წარწირო სისხლი დედათა და ქალწულთა,
რომ მოინანიო ცოდვები შენი და განიბანო. ასე ყოფილხარ მუ-
დამ და ძნელბედობაც არ მოუკლია შენთვის განგებას. ნუთუ
აქაა სანყისი შენეული მარადიული სულისა, სათავე და წესი
შენი დამკვიდრებისა?!

ამ გაზაფხულის ჟამს დათხეული სისხლი დედათა მოგევე-
ლინა მწედ სიმართლისა და სინდისისა, მაუნყებლად წაუხ-
დენელის სულის შენისა და ძალისა დაუნრეტელისა. მოგევე-
ლინა სიტყვად, რამეთუ არ დაივინყო – ნათლითა წინამორბე-
დისა მოიწიე დღემდე და ეს ნათელი ბედის სასწორზე არ უნდა
შეაგდო არაოდეს, წყაროდ სიცოცხლისად უქციო უნდა იგი
ჯიშს შენსას.

დედათა სისხლმა კვლავაც გაუნყა შენ:

„განსჭვრიტე ყოველნი საქმენნი და იძიე ყოველი განზ-
რახვა ბრძენთა და ნუ უგულვებელჰყოფ მათ“.

„შეიცან მოძულე შენი, რომელნი გამძლავრობენ და გდევ-
ნიან შენ“.

„ზომიერ იყავ ყოველ მხრივ და შეიმცირე ქვეყნის ვაება,
განამრავლე ნიჭი შენი შრომისა მოყვარებისა და ფასი დასდე
გარჯასა“.

„უქმობასა ქურდად შინა ნუ გარდაიქცევ, ვაჟკაცობა ინ-
დომე იმად, რომ შენსას უპატრონო და ერიდო სხვისას“.

„ნუ რჩები თავკერძ, რამეთუ იგია ფესვი განთვითებისა და
ძირი განთიშვისა“.

„თუ გამოარჩევ კაცსა პატივითა, გამოარჩიე ეგოდენიცა
საქმითაცა იგი სხვათა უმაღლესი“.

„დაისვი მწედ და წინამავლად ხელი-მწიფე და ხელი
მმართველი, საქმე და სიბრძნე, რომლისა არ გაცუდდების,
რომელმან ვერ შეუძლოს მონობა კერპთა ცბიერთა და ჯვარსა
ზედა დაითმინოს“.

„განერიდე, ვითარცა უხსენებელს, ნიანგთა ცრემლთა

მფრქვეველთა და აღახუნ თვალნი შენნი მათ შესაცნობად“.

„ზომიერ იყავ დარდსა და უდარდებობაში, წამისყოფისათვის ნუ მოიხვეჭ, რამეთუ სოფელმა პატივით გცნოს“.

„საცნაურ იქმენ დღეს შენ, სულო ქართულო, ან კი...“

სიბრძნითა სიმხნე აჩვენე შენი, რამეთუ სული შენირულთა ქალწულთა ევედრებიან ძალსა ზეშთაარსებულსა: ნუ შეგვიყვან განსაცდელსა და გვიხსენ ბოროტებისაგან.

„რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ“.

ახლა, შეჭირვების ჟამს, სასწორზე შეგდებული სიმართლე თუ ფეთქავს – რას გადაწყვეტს ხელი მძლე, წაწყმდეს იგი თუ სუფევედეს...

ნუ დაღონდები, ქართველო, ხომ დაიკლა ოდესმე კრავი ეგვიპტეს ბჭედ სიმართლისად. ნუ იხარებენ ისინიც, გონებით ბერწნი დ სულით საჭურისნი. სიჩუმეში დაუნჯებული სიმართლე აცლის ცოტას და მერე წარწირულ სისხლის ცოდვას მისხლობით აუწონის ფარისეველთ

სჯულალმსარებლობის მაჩემებელთა წამისყოფით გულდაჯერებულთ!

სულნი შენირულთა ქალწულთა ევედრებიან ზეშთაარსებულს: შენ, შენ მხოლოო, რომელმან უწყი, გვიხსენ ბოროტებისაგან!“⁹

მსახიობმა უთუოდ გაამართლა ის, რისთვისაც ასეთ დროს მოუხმეს. 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს თავისუფლებისათვის შეწირულ ღირსეულ შვილებს ზინაიდა კვერენჩხილაძის სახით ღირსეული ქირისუფალი ჰყავდათ!

ზინაიდა კვერენჩხილაძის მიერ განვლილი გზა ხელოვნებაში არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. სწორედ ტკივილიანმა ცხოვრებამ ჩამოუყალიბა მას, როგორც ქართველ ქალს, სიყვარული სამშობლოსა და თავისი ერისა, სწრაფვა თავისუფლებისა და რწმენისაკენ. ამავე ტკივილმა შექმნა ამაღლებული, უნეტარესი აზრი იმისა, რომ შენი ხლოვნება უნდა ემსა-

9 ტექსტი იბეჭდება პირველად. თანხმობისათვის მაღლობას ვუხდით მის ავტორს – ინგა ბახტაძეს!

ხურებოდეს სამშობლოს, ხელოვანი უნდა იყოს მატარებელი იმ გენისა და კულტურისა, რომელიც მის წინამორბედს შეუქმნია.

ზინაიდა კვერენჩხილაძეს სწორედ პიროვნულმა თვისებებმა შეუნყვეს ხელი იმაში, რომ თავისი და სხვისი, იმხანად მთელი ერის ტკივილი არა მარტო „წმიდისა და ყოვლადპატიოსანი“ ტაძრიდან, სიონიდან, საჩინო ეყო, არამედ სცენიდანაც. საკმარისია გავიხსენოთ სალამოები „ჩვენ ბრალს ვდებთ!“. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა მამულიშვილობა და მაღალი პროფესიონალიზმი ერთმანეთს ავსებს და სინთეზურად ქმნის მთლიან სიტყვიერ ხატს, სახეს, რომლის დავინყება იმდენად ძნელია, რამდენადაც დავინყება თავად ტრაგედიისა!

ზ. კვერენჩხილაძისგან წამოსული სიტყვა განცდის ნაყოფია. სწორედ ეს არის ის განუყრელი თვისება, რომელიც არა მარტო როგორც მსახიობის, არამედ მთლიანად მისი პიროვნების თანამდევია.

განცდის გარეშე ვერ მეტყველებს;

განცდის გარეშე ვერ თამაშობს;

განცდის გარეშე ვერ ცხოვრობს.

ამიტომაც ყოველთვის აღელვებული, შეიძლება გარეგნულად მშვიდიც კი, მაგრამ საოცარი, დაუტეველი ენერგიით აღსავსე, ბობოქარი და მებრძოლი.

იგი განიცდის ყველაფერს, უმნიშვნელო წვრილმანსაც კი... ასე განცდით აღსავსე დგას სცენაზე და კითხულობს დავით გურამიშვილს, ილია ჭავჭავაძეს, ვაჟა-ფშაველას, ირაკლი აბაშიძეს, ანა კალანდაძეს... ქართულ კლასიკას.

მოუსვენრობა, ხელოვნებასა და ცხოვრებაში მშფოთვარება ახასიათებს ზინაიდა კვერენჩხილაძეს. მისი, როგორც პიროვნების, ცხოვრება ისევე დაძაბულია, როგორც ყოველი ჩვენგანისა. ამიტომ მსახიობის წინაშე იბადება მეტად მნიშვნელოვანი კითხვა, რისთვის ვკითხულობ დღეს ამ ნაწარმოე-

ბს, რას მივანიშნებ მსმენელს? ეპოქის შესატყვისად უნდა გაკეთდეს აქცენტი, წინ ის წამოინევს, რაც შესაბამისი დროისთვის არის მტკივნეული. ამ პრობლემის გადაწყვეტაა ზეამოცანა მსახიობისთვის. თუ სათქმელი ზუსტად თქვა, ტკივილს მაღა-მოდ დაედო ან ტკივილი უფრო გვატკინა, მიზანი მიღწეულია.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ზინაიდა კვერენჩილაძე განსაკუთრებულად კითხულობს ილიას ნაწარმოებებს. თითქოს ეს კითხვაც არ არის, უფრო სწორედ, შეგონებაა ჩვენი დიდი წმიდა მამისა. მსახიობმა იცის, რომ, რასაც სცენიდან გვაცნობს, წმიდანის ხელიდანაა გამოსული და ამიტომ მისი დამოკიდებულება უფრო სათუთია, უფრო განსხვავებული; აქ თითქოს ყველაფერი ღვთაებრივია, ამაღლებული და ამაღელვებელიც. სათქმელის მოლოდინში განაბულნი ვენაფებით ილიას დიდ სიბრძნეს და, შესაბამისად, მსახიობის მხატვრული ჩანაფიქრიც, ქმედითი სიტყვის ხვედრითი წონა ძალზე მაღალია.

ზინაიდა კვერენჩილაძე ერთადერთი მსახიობია, რომელიც ძველი ქართული პოეზიის ნიმუშებს კითხულობს. ეს ქართული სასცენო მეტყველების ძალზე მტკივნეული საკითხია. აღარ გაისმის ჩახრუხაძე, შავთელი, მეფე დემეტრე, ბორენა დედოფალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, დავით გურამიშვილიც კი! ალბათ, ერთი შეხედვით, არცაა გასაკვირი, რადგან ის მაინც სხვა სტრუქტურაა, სხვა სამყაროა, იგი, ბოლოს და ბოლოს, რელიგიურია და ჩვენი საზოგადოება, ნებსით თუ უნებლიედ, დაშორდა ღმერთს და, ამდენად, მსახიობები ან თავად ვერ იგებენ მათს ნაწარმოებებს, ან არ აღელვებთ. ყოველ შემთხვევაში, მხატვრული კითხვის ოსტატთა რეპერტუარში ძველი პოეზია არ არის, იგი თითქმის მთლიანადაა ამოძირკვეული.

როცა საუბარია ძველ ქართულ პოეზიაზე, უნდა აღინიშნოს ინტონაციის შესახებ, რადგან ამის გარეშე წარმოუდგენელია მსჯელობა. ინტონაციაში მთლიანად ჩანს ადამიანის სული, მისი ნიუანსებიც კი, მისი სამყარო, გრძობანი და განცდანი. ადეკვატურად გაგებულ ლექსის შინაარსი, ავტორის განწყობისა და ჩანაფიქრის ამოხსნა განაპირობებს სწორი ინტონაციით კითხვას. ინტონაცია ყოვლისმომცველია, მასში ჩანს ავტორის

ხელწერა, სტილი, ინდივიდუალობა, ორიგინალობა. ამიტომაც რთული ინტონაციის წვდომა. ყოველი ქეშმარიტი მსახიობიც ხომ ინტონაციით იცნობა, იმ ინტონაციით, რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი, რომელიც მხოლოდ მისეულია.

ამ კუთხით თუ შევხედავთ ზ. კვერენჩილაძის სიტყვათმეტყველებას, დავრწმუნდებით, რომ იგი, მართლაც, შეუდარებელია, როცა დავით გურამიშვილის პოეზიას გვაზიარებს. გურამიშვილის კითხვისას საჭიროა, მსახიობს ჰქონდეს სულიერი ხედვა, „დავითიანის“ გააზრებას რწმენა და სათნოება, სასოება და სიყვარული უნდა ახლდეს თან, ანდა აქეთკენ სწრაფვის სურვილი მაინც, რადგან პოეტის რელიგიურ ლირიკაში მხოლოდ ანალიტიკური აზროვნებით შორს ვერ წავალთ.

დ. გურამიშვილის „დავითიანის“ კითხვისას ზ. კვერენჩილაძემ მიაგნო ავტორის ზუსტ ინტონაციას. მოხდა ქრისტიანული მისტერია, რითაც შეძლო გურამიშვილის რელიგიური ლირიკის ამეტყველება. მან აღადგინა ავტორის სულიერი მდგომარეობა მაშინ, როცა ქმნიდა, როცა ძერწავდა, როცა ინვოდა. მსახიობი ჩასწვდა „დავითიანის“ რთულ სიტყვიერ ქსოვილს:

„ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო,
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვრებელი შენ მათი წარწყმდელად მიგიჩნიესო,
დიდება, მოთმინებასა შენსა, უფალო, იესო“.

ინყებს ზ. კვერენჩილაძე ამ სტრიქონებს და იმდენად ძლიერია სიტყვის გამომსახველობითი ეფექტი, რომ აზრი ვერ ეტევა ფორმებში. ეს არ არის თხრობითი კითხვა, აღწერითი თხრობა. ესაა აზროვნება, რომელიც თავის თავში მოელის სასწაულს. როგორც თავად ავტორი, ასევე მსახიობიც განიცდის ჯვარცმას. იგი გოდებს მაცხოვრის წინაშე, მოთქვამს და არსად, არავის თანაუგრძნობს. აქ განცდა მარადიულია, რადგან თავად ჯვარცმაა მარადიული და უყამო! მსახიობმა კაგად შეიგნო, რომ გურამიშვილთან ისტორიული ზედროულადაა ქცეული და უკვდავყო წამი. ამიტომაც ზ. კვერენჩილაძე სულ შეცნობადობისა და შთაგონების პროცესში, ასეთი დამოკიდებულება აქვს მას „დავითიანთან“ და, შესაბამ-

ისად, მისი კითხვა ფიქრს, განსჯასა და რწმენას აერთიანებს. „კარგად წაკითხული სიტყვა ერთი ათად აძლიერებს აზრსაც, გრძნობასაც, რადგან ერთსაც და მეორესაც მეტისმეტად ამშვენებებს და ამკობს, აცხოველებს და აფერადებს... მარტო შეწყობილს, შეფერებულს ხმას ადამიანისას ანუ, უკედ ვსთქვათ, წაკითხვას შეუძლიან გაუწიოს სიტყვას იგი სამსახური, რომ საიდუმლო გამოთქმული ბგერა, ბგერა და მოძრაობა გულისა გამომეტყველდეს და მთქმელისაგან მსმენელს გადაეცეს სავსედ და უნაკლულოდ“¹⁰.

ზ. კვერენჩხილაძე ანთებულია იმის სათქმელად, რაც ანუხებს, რაც სტკივა. „ქართლის ჭირის“ სტროფების ამეტყველებისას ცხადად ჩანს მისი დამოკიდებულება ტექსტისადმი. მსახიობს საკუთარ თავზე აქვს გადატანილი ის, რაზეც მოგვითხრობს. მან წარმოისახა ავტორის მიერ მოცემული რეალობა და კითხვისას შექმნა ახალი მხატვრული სინამდვილე. ყველაფერი შეიქმნა მისგან, მისი აზრით, ფიქრით, სხეულით. მსმენელნი დარწმუნებულნი ვართ მისეულ შეფასებაშიც:

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენამჭევრი!

იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი.

ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრი, მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწევრი“.

მოგვითხრობს ზ. კვერენჩხილაძე ჩვენს ავბედითს ისტორიას. განწყობის გამოწვევის მნიშვნელოვან ფაქტორს შეადგენს მსახიობის „სპეციფიკური შინაგანი აქტივობის ფაქტორი წარმოდგენილი შინაარსის მიმართ, ან უფრო ზუსტად, სპეციფიკური დამოკიდებულება წარმოსახულის მიმართ“.¹¹

ზ. კვერენჩხილაძემ შეიგრძნო გურამიშვილის ლირიკული აზროვნების წესი, ხელთქმნადობის პრინციპები, შინაგანი სტრუქტურა. ყოველივე ზემოთქმული შეიმეცნა სულიერი გზით, განიცადა წმინდა გრძნობითა და სათქმელი ქმედითი გახდა, თანაც

10 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი V, კრიტიკა, თბ., 1991, გვ. 482-483;

11 რ. ნათაძე, სასცენო გარდასახვის საფუძვლის პრობლემა, თბ., 1970, გვ. 13.

განზოგადებული. არ იკარგება არც ერთი ბგერა, აქცენტირებულია სიტყვა, საოცრად რიტმულია თხრობა, მეტყველი და სულში ჩამწვდომია ინტონაცია – თავად სიტყვათმეტყველების პროცესში განფენილია განცდა, ყოველივე საკუთარ თავზეა გადატანილი.

ასე იყო მაშინაც, როცა ზ. კვერენჩილაძე კითხულობდა მირზა გელოვანის „წერილი მშობლებს“ (1985 წ.-ს ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიება ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე). მსახიობი სცენის სიღრმიდან პროჟექტორის შუქზე საოცრად მეტყველი ნაბიჯებით შემოდის და თავშეკავებული, დაძაბული ხმით იწყება:

„ძვირფასო მშობლებო, დებო, ვიდრე რამეს მოგწერდეთ, მინდა მოგთხროვოთ პატიება ყველა მწუხარებისათვის“...

კვერენჩილაძე-გელოვანმა იცოდა, გრძნობდა, რომ განწირული იყო, რომ მსხვერპლი გახდებოდა ბოროტებისა, მაგრამ მისი ეს განცდა აღსავსე იყო ტრაგიზმითა და, ამასთანავე, ოპტიმიზმითაც. მსახიობის მეტყველებაში ჩანდა საოცარი სიამაყე და იმედი, ვაჟკაცური შემართება და მუქარა. აკი, თავადაც გვარწმუნებდა კიდევ:

„გჯეროდეთ, ჩემო ძვირფასებო. თუ მე სიკვდილი მეწერება ამ ომში, ძალიან ძვირად დაფასვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას“.

ამ ერთი ალალი პოეტის სულში მოქცეული მთელი სამყარო აჩვენა ზინაიდა კვერენჩილაძემ და მ. გელოვანის ხანმოკლე ცხოვრების თითოეულ განვლილ ეტაპს თითქოს ახალი სიცოცხლე შესძინა.

„მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელეების...
კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
არას გავნებ, მხოლოდ მოგეფერები...
მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელეების“...

ეს ანა კალანდაძეა, შეუდარებელი და განუმეორებელი ანა კალანდაძე!

ეს კი ის სტრიქონებია პოეტისა, რომელთაც უბრწყინვალესად, გასაოცარი ლირიზმით, გრძნობითა და გატაცებით კითხულობს ზინაიდა კვერენჩილაძე. ანას „საქართველოო ლამაზოთი“ დაიწყო მსახიობის მოღვაწეობა მხატვრულ კითხვაში, ჯერ კიდევ მაშინდელ პიონერთა სასახლეში მისი სულის ნაწილ პატრნიორსა და პედაგოგთან – სერგო ზაქარიადესთან.

ანას ყოველი სტრიქონი მსახიობის შთაგონებაა, აზროვნების წესი და რიგია, სულის მოძრაობა... მან მიაგნო მელოდიკას, ჩასწვდა ინტონაციას და ეს გახდა ამოსავალი ასე უბადლოდ პოეტის სტრიქონების ჩვენამდე მოტანისა.

ზინაიდა კვერენჩილაძე წარმოუდგენელია ანა კალანდაძის პოეზიის გარეშე. იგი ხშირად მიმართავს პოეზიის დედოფლის ღვთივკურთხეულ ლირიკას, რწმენით, სასოებითა და სიყვარულით გასხვივოსნებულ მის სტრიქონებს. საკმარისია გავიხსენოთ გრამფირფიტა „ანა კალანდაძე, პოეზია“, ჩანერილი 1981 წელს, ტელევიზიის ლიტერატურული პროგრამების რედაქციის გადაცემა ანა კალანდაძის ლირიკა, ასევე ლიტერატურული სპექტაკლი ანა – მსახიობის სახლში, საკონცერტო გამოსვლებზე აჟღერებული მისი არაერთი შედეგრი. მსმენელს ატყვევებს მსახიობი, რომელიც გრძნობს ანას სუნთქვას, მის გულის ცემას, ისინი თითქმის განუყოფელნი არიან ამ დროს. კალანდაძის მაღალი პოეზია, ზეციური სულით შთაბერილი, გახდა საფუძველი ზ. კვერენჩილაძის პროფესიონალიზმის ცხადყოფისა. სრულიად შეუდარებელია მსახიობი, როცა კითხულობს წმ. შუშანიკისა და წმ. ქეთევანისადმი მიძღვნილ ლექსებს: „უდრეკ იყო დედოფალი“ – ისეთი ძალით, ემოციითა და ინტონაციით ამბობს ამას, თითქოს არ გაძლევს უფლებას ზნეობრივ კომპრომისზე წახვიდე, შეურაცხყო და შებღალთ ყველაზე წმინდა და ამაღლებული, არ უერთგულო მარადიულ ღირებულებებს... ასეა უმრავლეს შემთხვევაში – ზ. კვერენჩილაძე ყველაფერს იშველიებს საკუთარი რწმენისა და პოზიციის, საკუთარი სათქმელის გამოსახატავად! ამასთანავე, მისი მკვეთრი და იდუმალი ხმა, თავისი შესამჩნევი ინტონაციით, არის მიზეზი იმისა, რომ მსმენელი სიტყვათმეტყველის პირვე-

ლი სიტყვის გაგონებისთანავე ამბობს: ზინაიდაა, ზინაიდა! ვტოვებთ დარბაზებს, ვბრუნდებით იმ სალამოებიდან, რომლებზეც მას მოვუსმინეთ და კვლავ ჩაგვესმით შორეული, იდუმალი ხმა მეტყველისა. არ ქრება ის, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“!

გივი ცქიტიშვილი ტ. გრანელზე დაწერილ წიგნში „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“ ასე იხსენებს თბილისში 1987 წელს გამართულ ტერენტი გრანელის საღამოს: „ყველაზე მთავარი ფიგურა მხატვრული საღამოს მონაწილეთა შორის ზინაიდა კვერენჩილაძე იყო. მისი ხავერდოვანი, საოცრად გულში ჩამწვდომი ხმა პირდაპირ ატყვევებდა მსმენელებს. როცა ცხაკაიელ მეჩონგურე ქალთა ტრიოს შესრულებით მეგრული სევედიანი „ნანა“ დაბალი ხმით მოეფინა დარბაზს, ხოლო ზინა კვერენჩილაძემ გრძნობით აამეტყველა ტერენტი გრანელის მინიატიურა „სიკვდილის შემდეგ“... „დადგება ზამთარი“... მოკვდები ღამით გათენებისას, როდესაც გარეთ იქნება ზამთრის გაცივებული მთვარე და ყინვა. სიკვდილის წინ მომაგონდება თბილისის ღამეები და ჩემი უნაზესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც მწვავდა მე ყოველთვის. ასე გათავდება სინათლე, გაქრებიან მოგონების წამები“... და, როცა მსახიობმა ნელ-ნელა ასწია ხმა, ააჟღერა, აახმოვანა ტერენტი გრანელის ეს უკვდავი სიტყვები, მეჩონგურე ქალთა ტრიომ კი სევედის ჰანგებით გაჟღინთა თეატრის დარბაზი, ჩემი თექვსმეტი წლის გოგონა ჯერ უხმოდ აქვითინდა, მერე, როცა თითქოს რაღაც ბოლმას უნდა ამოეხეთქა და უნდა აყვირებულიყო, თავადაც ცრემლიანმა, გულში ჩავიკარი ჩემი ქალიშვილი და დამშვიდდი-მეთქი, ვთხოვე. ვიცი, ძალიან ძნელი იყო ეს, მაგრამ თავს ძალა დავატანეთ ორივემ“.

როგორც იტყვიან, კომენტარი, მართლაც, ზედმეტია!

* * *

2007 წლის შემოდგომა განსაკუთრებული შემოქმედებითი ინტენსივობით აღინიშნა ზ. კვერენჩხილაძის ბიოგრაფიაში, ჯერ ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა მსახიობის ბენეფისი „ის, რაც ვინამე“, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადების 75-ე და აღსაყდრების 30-ე წლისთავს და ცოტა ხანში რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა ლიტერატურული სპექტაკლი „სხვა საქართველო“ (ავტორები: რეჟისორი ნიკა ჰაინე-შველიძე და სალიტერატურო ნაწილის გამგე ლილი ფოფხაძე, მხატვარი მირიან შველიძე, მუსიკალური გაფორმება ია საკანდელიძისა, სპექტაკლის ფიზიკური მხარე უზრუნველყო ია შერაზადაშვილმა, რეჟისორის თანაშემწე ციციწო გვაზავა). ამით, ფაქტობრივად, მსახიობმა შეაჯამა თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა მხატვრული კითხვის დარგში, კიდევ ერთხელ გაგვანდო საკუთარი პოზიცია, მრწამსი, ტკივილი და დაგვანახა ძალა მხატვრული სიტყვისა, გვაზიარა უმაღლეს ღირებულებებს. მან თავისი ხმით, ვულკანური ტემპერამენტით, თვალებით, პლასტიკით, ტრაგიკული სულით, რიტმის განუმეორებელი შეგრძნებით, შინაგანი არტისტიზმით, არაჩვეულებრივის, ამაღლებულისა და პოეტურის განსაკუთრებული რწმენით შეძრა მაყურებელი. ასეა ყოველთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ის კითხულობს გოეთეს „ეგმონტის“ მონოლოგს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ბეთჰოვენის გენიალურ მუსიკის თანხლებით. ეს მონოლოგი პირველად საქართველოში სერგო ზაქარიაძემ წარმოადგინა ამ ფორმითა და ამ სახით. ზ. კვერენჩხილაძემ მის პატივსაცემად გარისკა იმავეს გაკეთება. როგორც ჩანს, „ეგმონტი“ მაინც ანტიგონეს გამოძახილად მიიჩნია მსახიობმა და, ფაქტობრივად, საშუალება მიეცა ეთამაშა ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებული გმირი. რასაც ის აკეთებს, არ არის მხოლოდ კითხვა, ეს უფრო მეტია. მსახიობს სიტყვასთან, როგორც ფენომენტთან, დიალოგური მიმართება აქვს და ამ გზით ზუსტად გამოხატავს

საგნისა და მოვლენისადმი თავის დამოკიდებულებას. „ეგმონტის“ გათამაშებაა ის, რასაც ზ. კვერენჩილაძე გვთავაზობს. სცენაზე იბადება აზრისა და ფორმის მთლიანობა და ზუსტად იგრძნობა ისიც, თუ სად, როდის და როგორ აღმოცენდა სიტყვა, სათქმელი, როგორც აუცილებლობა, როგორც სულის მოთხოვნა. მსახიობმა გოეთეს აზრი და ემოცია მთელი ექსპრესიულობით გადასცა მაყურებელს და მხატვრული აზროვნებისა თუ ემოციური მუხტის ფონზე მთელი არსებით გამოავლინა თავისი ბუნება – არტისტული ტრანსფორმაციით გაბრწყინებული.

გოეთეს ეგმონტი ცხოვრებაში უპირატესობას თავისუფლებას ანიჭებდა, თუნდაც თავგანწირვის ფასად, და სწორედ ამის გამო აღმოჩნდა ზ. კვერენჩილაძისთვის ასე ახლობელი და საინტერესო ეს მონოლოგი. ეგმონტს სულის სიღრმეში სძაგს დამპყრობელი ესპანელები და მისი მომხიბვლელობაც სწორედ იმ სილალესა და თავისუფლების სიყვარულშია, ასეთი გატაცებითა და ექსპრესიულობით რომ გვანვდის მსახიობი. ზ. კვერენჩილაძის ეგმონტი არის სახე ღირსეული სიკვდილისა და თავისუფლებისა, სასტიკი შეუწყნარებლობისა ყოველგვარი ტირანიისა და დესპოტიზმის მიმართ. ორ ნაწილად გაყოფილი მონოლოგი ფინალში ისეთ კულმინაციას აღწევს, რომ მსახიობის ბოლო სიტყვებს: „ჰე, მეგობარნო, არ შებღალთ თქვენი ღირსება და სიკვდილს შეხვდით ასე, ჩემებრ პირმომცინარი“ ოვაციითა და აღტაცებით იღებს მაყურებელი, მიუხედავად იმისა, რომ ორკესტრის პარტია არაა დასრულებული და გრძელდება ბეთჰოვენის ბრწყინვალე მუსიკა. დარბაზი არასოდეს არ ელოდება ბოლო აკორდს და ეს ფინალური მუსიკაც მქუხარე ტაშისა და შეძახილების ფონზე მთავრდება. არც ისაა შემთხვევითი, რომ მსახიობის ბენეფისი ოპერისა და ბალეტის თეატრში სწორედ ამით დამთავრდა - ესეც ზ. კვერენჩილაძის პოზიციისა და მრწამსის გამომხატულება იყო.

თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, როცა 1978 წელს რუსთაველის თეატრში დაიდგა სპექტაკლი „ჩემო კალამო“ იმ ბობოქარი დღეების გამოხატულებად და ქართული ენის

სინმინდის დასტურად, მისი სახელმწიფოებრივი სტატუსის მხარდასაჭერად, ზ. კვერენჩილაძე დღესაც სრულ ფორმაშია. სპექტაკლში „სხვა საქართველო“ მსახიობის მიერ წარმოდგენილი პროგრამა, ძირითადად, რელიგიურია, ამდენად ის კითხულობს იმ დროის შესატყვის სტილში – მაღალფარდოვნად, ამალღებული და მოკრძალებული ინტონაციით. დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ზ. კვერენჩილაძე აბსოლუტურად გამორჩეული მოვლენაა ქართულ თეატრში, რომელსაც ხელენიფება ტექსტის შინაგანი ძვრების გამოვლენა, რიტმის შეგრძნება და ჩვენ მიერ არაერთხელ ხაზგასმული ზუსტი ინტონაციის პოვნა. ამაში კიდევ ერთხელ დაარწმუნა მაყურებელი ამ სპექტაკლმა. ისიც უნდა ითქვას, რომ მსახიობის დიდი ხნის ოცნება იყო, სცენაზე გაეცოცხლებინა ძველი ქართული პოეზიის შედევრები, ახალი სიცოცხლე დაებრუნებინა მათთვის. მან გვაჩვენა ძველი ქართული ენის მხატვრული ძალა, შეიგრძნო, განიცადა და განგვაცდევინა ქართველ ჰიმნოგრაფთა ინდივიდუალური ენობრივი სტიქია, ღვთიური მაღლით შემოსილი. ჰიმნოგრაფიის ნიმუშებთან ერთად, მსახიობმა აამეცყველა ანა კალანდაძე, ირაკლი აბაშიძე, კოლაუ ნადირაძე... ქართულ სცენაზე ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მსახიობი ძველი ქართული პოეზიის მარგალიტებს კითხულობს (რაოდენ რთულია, შეჰბედო ამ სიმალლეს, ჯერ თავად გაიაზრო და მერე სხვას განაცდევინო!). მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი დაპყრობა არ გასჭირვებია, არც ერთი წუთით მაყურებელი არ მოსწყვეტია მსახიობს და მთლიანად მის ტყვეობაში იმყოფებოდა.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს ორი რამ:

ა) მსახიობი ბოლო დროს გამუდმებით კითხულობს ერთსა და იმავეს: ან რელიგიური, ან პატრიოტული თემატიკის ლექსებს და ეს მაშინ, როცა მის რეპერტუარში მრავლადაა სატრფიალო და ფილოსოფიური ლირიკის შედევრები;

ბ) ქართული მხატვრული კითხვის ხელოვნების ერთ-ერთ მკვეთრ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ კითხულობენ, ძირითადად, ლექსს. ასე იყო ძველად, ასეა ახლაც (ალბათ

იმიტომაც, რომ მხოლოდ პოეზიაში ააშკარავებს ენა თავის მაქსიმალურ შესაძლებლობებს), არადა ქართულ პროზას თავისი დიდი წვლილი აქვს მხატვრული კითხვის ხელოვნებაში.¹² ზ. კვერენჩხილაძე გაცილებით უკეთესად კითხულობს პროზაულ ნაწარმოებს, რადგანაც მის უკიდვანო ემოციას მეტი გასაქანი პროზაულ ტექსტში ეძლევა, იქ თამაშის მეტი ელემენტი შემოდის. მიუხედავად მის მიერ ქართული პროზის გენიალობით აღბეჭდილი შესრულებისა („თავადის ქალი მაია“, „ოთარანთ ქერივი“, „თავსაფრიანი დედაკაცი“, ტერენტი გრანელის მინიატურები, მირზა გელოვანის „წერილი დედას“ და სხვ.) მსახიობი შეგნებულად აღარ კითხულობს პროზაულ ნიმუშებს და, თუ რატომ, ეს, ალბათ, მხოლოდ მისი ამოუცნობი ხასიათის საიდუმლოა.

სამწუხაროდ, დღეს ისე დაეცა და დაკნინდა ზეპირმეტყველების კულტურა და, მით უფრო, მხატვრული კითხვის ხელოვნება, ისეთი ყალბი და არაზუსტი, გამაღიზიანებელი ინტონაციები ისმის სცენიდან, რომ ასეთ ფონზე, ზინა კვერენჩხილაძე მხოლოდ დიდოსტატი კი არ არის სიტყვათმეტყველებისა, არამედ მოწოდებასავით გაისმის მისი ქართული – სწორად და აზრიანად იმეტყველეთო!

მეტყველებაში ახმიანებული პოეტური სიტყვა ძალზე ნათლად გამოავლენს ქართული ენის სტრუქტურულ თავისებურებასაც. მსახიობის რეპერტუარი აშკარად წარმოაჩენს მის მოქალაქეობრივ და შემოქმედებით ინტერესთა სათავეს, ვგრძნობთ, როგორ იჭრება იგი საკუთარი ემოციებით ავტორის პროზაულსა თუ პოეტურ ტექსტში და როგორ ამდიდრებს მას საკუთარ განცდათა და შეგრძნებათა ნიუანსებით. მსახიობი გვიჩვენებს, რა არის სიტყვის ოსტატობა და ნიჭი დუმილისა, მის წინ გადაშლილია სიტყვით გაცხადებული მხატვრული ცხოვრება, ცხოვრება ჭვრეტისა, ფიქრისა...

დიახ, არ მთავრდება ფიქრი მსახიობისა, პროფესიონალისა, სიტყვათმეტყველისა თეატრზე, ქართულ სიტყვაზე... მარად მაძიებელი სული ქართულ სიტყვაში პოულობს თავს, ეს

12 შდრ. მ. მრეველიშვილი, მხატვრული კითხვის ხელოვნება, თბ., 2006, გვ. 21

ზინა კვერენჩილაძის ცხოვრებაა!

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ზინაიდა კვერენჩილაძის მკვეთრი და იდუმალი ხმა, თავისი დასამახსოვრებელი ინტონაციით, ავსებს და ალამაზებს ქართულ თეატრს. უამრავი ჩანაწერი არსებობს საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში, იქნება ეს რუსთაველის თეატრის სპექტაკლები მისი მონაწილეობით (ყველაზე მცირე რაოდენობა სწორედ ამ ტიპის ჩანაწერისაა), რადიოსპექტაკლები, ლიტერატურულ რედაქციაში დაცული ქართველ კლასიკოსთა შედეგები, საინტერესო ჩანაწერები ანზორ გელაშვილის საავტორო გადაცემებისათვის „სარკე“, გრამფირფიტა-ანა კალანდაძე, ჩანერილი 1981 წელს, ფირმა „მელოდიაში“, მისივე რეჟისურით გამოშვებული ფირფიტები ვაჟა-ფშაველას საიუბილეოდ პროზა და პოეზია (სულ სამი გრამფირფიტა 1987-88წწ.), ასევე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა გრამფირფიტები, ტელევიზიის ოქროს ფონდში შემორჩენილი რამდენიმე საინტერესო ჩანაწერი, მათ შორის ანსამბლ „ფაზისის“ ათი წლისთავის საიუბილეო გადაცემა, ანა კალანდაძის პოეზია, გალაკტიონის შემოქმედება (პოეზია და წერილები გურამ სალარაძესთან ერთად), ირაკლი აბაშიძის პოეზია (გიორგი ხარაბაძესთან ერთად), რუსული პოეზიის თარგმანი, უამრავი საკონცერტო გამოსვლა... კინოსტუდიაში მის მიერ გახმოვანებული ფილმები ქართულ და რუსულ ენებზე – ეს მთელი ეპოპეაა, რომელიც უამრავი გმირის ფსიქოლოგიურ პორტრეტს იტევს. ამაში ნამდვილად შეუდარებელია მსახიობი, რადგან აქ სრულიად თავისუფალია, ვერავინ ხედავს და ხმაში აქსოვს ყველაზე უფაქიზეს ფსიქოლოგიურ ნიუანსებსაც კი. ამას თუ დავუმატებთ მის გამოსვლებს სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში ეგმონტის მონოლოგით, ამასთანავე, კონსერვატორიის დიდ დარბაზში საახალწლო კონცერტებს, რომლებზეც ზ. კვერენჩილაძე კითხულობდა ა. ვივალდის „წელიწადის დრონი“, ეს იყო სრულიად დაუვინყარი შეხვედრა ორი დიდი ხელოვანის-ზ. კვერენჩილაძისა და ლ. ისაკაძისა; ასევე აღნიშვნის ღირსია მსახიობის გამოსვლები ა. ხორავას

მსახიობის სახლში მ. ჯიქიას მიერ დადგმულ ლიტერატურულ სპექტაკლებში ანა კალანდაძე და ირაკლი აბაშიძე; თამარიონი და ილია ჭავჭავაძე – ტექნიკური უნივერსიტეტის სცენაზე, მისი გულანთებული გასვლები არაქართულენოვან (სომხურ-აზერბაიჯანულ-რუსულ) სკოლებში ქართული სიტყვის გადასარჩენად, სრულიად ნათელი გახდება ზ. კვერენჩილაძის ხმაში გარდატეხილი და სიტყვაში გაცოცხლებული სამყარო.

დღეს ზინაიდა კვერენჩილაძე სიტყვათმეტყველების მწვერვალზეა. ის სულ რაღაცითაა შთაგონებული, ანთებული, გაღიზიანებული, ყოველთვის ფიქრის განწყობაზეა და თავად განწყობა ხომ სუბიექტში მოცემული გაუცნობიერებელი მზაობაა, პასუხი გასცეს რაღაცას. სწორედ ეს „რაღაცა“ არის სათქმელი მსახიობისა, თავად მისი მშფოთვარე ცხოვრება, რომელიც მზაობს ქართული მხატვრული სიტყვით.

მშვენიერია სიცოცხლის ასეთი სახეობა!

ინტერვიუ (ჩანერილია 1991 წელს)

– როგორი უნდა იყოს მსახიობის როლი და ადგილი თანამედროვე ცხოვრებაში?

– გამოკვეთილად დღევანდელ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოსო, ალბათ, ასე უნდა უპასუხოს ადამიანმა, მაგრამ მსახიობს ყოველთვის უნდა ეჭიროს გამორჩეული ადგილი, რადგან ის სათქმელი, რომელიც მას აქვს, უნდა თქვას ისე, რომ ყოველ დროში იყოს გასაგები. იგი მხარში უნდა ედგეს ერს ტკივილსა და უბედურებაში. მსახიობს განსაკუთრებული პიროვნული თვისებები მთელი ცხოვრება უნდა გასდევდეს, ის ამით უნდა გამოირჩეოდეს.

– რას გვეტყვით თქვენი პარტნიორების შესახებ?

– მიჭირს მათი გამორჩევა, თუმცა განსაკუთრებით ძვირფასი ადამიანები რჩებიან შენს მეხსიერებას. ასეთი იყო სერგო ზაქარიაძე, რომელთან ურთიერთობაც სკოლა იყო ჩემთვის, ისევე როგორც მ. თუმანიშვილთან მუშაობა. ყველა პარტნიორისგან, როგორც პიროვნებისა და როგორც პროფესიონალისაგან, რაღაც მაქვს მიღებული. სხვათა შორის, ცუდიც თუ ვინმემ მაგრძნობინა და მაჩვენა, ისიც სკოლა და გაკვეთილი იყო ჩემთვის, რადგან უკვე ვიცოდი, როგორი არ უნდა ვიყო და როგორი უნდა ვიყო. ამას მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობაში ვარკვევდი და, ამდენად, ჩემს ცხოვრებაში ყველა პარტნიორს, ცუდად თუ კარგად, დიდი წვლილი მიუძღვის.

– რა არის ყველაზე რთული მსახიობის პროფესიაში?

– ყველა თვისება, რომელიც ადამიანს გააჩნია, კარგად ჩანს სცენაზე, რადგან სცენა საქმიანად და არსითაც ამალელებულია. მსახიობს უნდა სდევდეს შინაგანი სიკეთე, კეთილად უნდა უდგებოდეს იმათ, ვის გარშემოც ის ტრიალებს, პარტნიორის მიმართ აუცილებლად უნდა ჰქონდეს კეთილი დამოკიდებულება, შემკული უნდა იყოს ადამიანური ღირსების

გრძნობით. როდესაც რაღაცის გაკეთება მინდა, ვიღაცისთვის ხომ მინდა, რაღაცისთვის ხომ მინდა! აბსტრაქტულად ხომ არ არსებობს?! მე ამაში ვხედავ სიკეთეს. შენ რომ მოხვალ სპექტაკლზე, თუ მე ეს ვიცი და, თუ არ ვიცი, მაშინ მაინც გამოვიგონებ, რომ დღეს ეს ზის აქ, ამ დარბაზში და მინდა, რომ მეგზურად წაიღო ჩემი სულის ნაწილი, რაღაც გაგატანო, რაღაც დაგიტოვო და, თუ ამას შეძლებ, კარგია. ხელის განვ-დაც ხომ სიკეთეა! თუ ეს არა აქვს მსახიობს და ამისკენ არ ის-წრაფვის, მსახიობად ვერ შედგება. თორემ არტისტობა ყოველ მეორეს შეუძლია. ინსტიტუტში ასე იღებენ:

- გარეგნობა აქვს?-აქვს!
- ხმა აქვს?- აქვს!
- შეუძლია სიმღერა?-კი
- შეუძლია ცეკვა?-შეუძლია.

მაგრამ ის ძირითადი, რომელიც მერეა საჭირო-სიკეთის მარცვალ-მას თავიდანვე უნდა ჰქონდეს.

- ვინ არიან ისინი, ვისი მოსმენა თქვენ სიამოვნებას განი-ჭებთ და ვის სიტყვის ძალასაც განსაკუთრებულად გრძნობთ?

- ასეთი იყო სერგო ზაქარიძე, რომელსაც ჰქონდა ისეთი სულიერი ძალა, რომელიც აბსოლუტურად ყველაფერს იქვემ-დებარებდა, ვასო გოძიაშვილის მოსმენა მიყვარდა, ქალბატონი ვერიკო - თავისი სტილითა და მანერით, ულამაზესი ქართული აქვს ედიშერ მაღალაშვილს, გოგი ხარაბაძის წაკითხული მომ-წონს. ხანდახან ისეთი ვიღაც წაკითხავს, რომელიც სულ არ არის მსახიობი, მაგრამ ლექსის მიმართ მისი უშუალობა და დამოკიდებულება მსიამოვნებს.

გაჩნია, რას და რისთვის კითხულობენ. თუ იგრძნობა ის, რისთვის კითხულობს, ეს უკვე ბაზისია იმისა, როგორ წაკითხ-ავს და როგორ წაკითხული ჩემზე მოქმედებს. მე მეტყველებას, საერთოდ, მუსიკად აღვიქვამ, ფრაზას კი-მელოდიად.

- რატომ კითხულობთ უფრო ხშირად ლექსს?

- ლექსი, უპირველესად, მხიბლავს მუსიკალობით, მელო-დიურობით, აზრით და იმით, რომ ქართული ლექსი, ძირითა-დად, მატარებელია რაღაც ტკივილისა და, ამდენად, ის მე ჩემი

სათქმელისა და წუხილის გამოთქმაში მესმარება. ხომ თითქოს ძალიან ადვილია ქართული ენა?– ურთულესია, მოძებნო მელოდიკა და მიიტანო ავტორისეული მსმენელამდე. პოეტმა თქვა, გადმოღვარა თავისი სულის ნაწილი და არავის არა აქვს მისი შერყვნის უფლება, რომ მოექცეს უდიერად და ამით ავტორს ატკინოს გული, გაჰყვეს რაღაც რიტმს, შექმნას ხელოვნური მელოდიკა და ფორმა ლექსისა. არა, უნდა ჩასწვდე მის სულს, ავტორს ჩანაფიქრს უნდა მიუხვდე. ზოგჯერ არ გამოდის ისე, როგორც უნდა იყოს. მე იმნაირად ვარჩევ რეპერტუარს, რომ ყველაფერს ვიყენებ, ვიშველიებ ჩემს სათქმელად. ხანდახან ისე გავითავისებ ხოლმე, რომ სულ მგონია, ჩემი დაწერილია–მეთქი. ძალიან რთულია ქართული ენა და არა მგონია, ასეთი მელოდიური იყოს რომელიმე სხვა ენა.

– რომელ მწერალზე ხართ შეყვარებული?

– მე იმდენი ვინმე მიყვარს!... ხანდახან მაქვს მონაკვეთები, როცა მხოლოდ ბარათაშვილთან ვარ, ურომლისოდაც ვერ წარმომიდგენია საკუთარი თავი, მერე ვაჟასთან ერთად დავდივარ, მერე ილიათი ვარ გატაცებული... ასე შევუვლი და შემოვუვლი მათ, ისინი ჩემები არიან. წიგნები ჩანთაში მიცვდება, დევს, არ შემიძლია სხვანაირად. გააჩნია ჩემს სულიერ მდგომარეობას, ჩემი სულის შესატყვისად ვირჩევ პოეტს იმ პერიოდში, დავდივარ მასთან ერთად!

* * *

ამ წიგნის ძირითადი ნაწილი 1990-91 წლებში დაინერა. ქვემოთ ქართული ხელოვნების მოღვაწეები საუბრობენ ზ. კვერენჩხილაძის პიროვნებასა და სიტყვათმეტყველებაზე. ზოგი მათგანი დღეს უკვე ცოცხალი აღარ არის, ამიტომაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მათი ნააზრევი მსახიობის შესახებ.

* * *

ზინაიდა კვერენჩხილაძეზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. ძალიან ბევრი გვიმუშავია ერთად. ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში III კურსზე იყო, თუმცა ჩემს ჯგუფში არ ყოფილა, მაგრამ შევამჩნიე და მივეცი საშუალება, რომ ემუშავა სპექტაკლში, რომელსაც მე ვდგამდი. სხვათა შორის, გარდა იმისა, რომ ზინა მსახიობობდა, ის იყო საქართველოს ჩემპიონი ფარიკაობაში. არაჩვეულებრივი ოსტატი ამ საქმისა და, სწორედ ამის გამო, მომივიდა აზრი, ეთამაშა ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორში“, რომელსაც იმხანად ვდგამდი. სპორტულად აგებული, მოძრავი პერსონაჟი იყო და, მართლაც, ძალიან კარგად ითამაშა. აი, აქედან დაიწყო, ფაქტობრივად, მისი სამსახიობო გზა.

ჩემთან მუშაობის შედეგად ყველაზე თვალსაჩინო იყო ანტიგონე – ჟ. ანუის „ანტიგონეში“. ჩემი აზრით, ეს არის მსახიობის ოსტატობის უმაღლესი დონე. იმიტომ კი არა, რომ მე დავდგი, არა, მე უამრავი სპექტაკლი დამიდგამს და ასეთი დონის ნამუშევარს იშვიათად ვაღწევდი. ანტიგონეში გამოჩნდა იგი, როგორც პიროვნება, როგორც მოქალაქე, როგორც ქართველი ქალი. არაჩვეულებრივი კამათი-დიאלოგი ჰქონდა კრეონტთან (ს. ზაქარიაძესთან) და ბატონი სერგო ძალიან ხშირად მეუბნებოდა, რომ მე ვერაფერი მოვუხერხე ამ ქალსო

(დიალოგებს გულისხმობდა, რა თქმა უნდა). ზინა როლს კი თამაშობდა, მაგრამ ამ როლიდან ჩანდა კონკრეტულად მისი პიროვნება, როგორც ანტიგონესი კი არა, ამ ანტიგონეს ქვეშ იყო ნამდვილი ზინა თავისი პოზიციით, ცუდის უარყოფით, სიყვარულისა და სიკეთის ქადაგებით.

ზინა არის არაჩვეულებრივი დედა და ბებია, შესანიშნავი მეგობარი, უაღრესად კეთილი და პრინციპული ადამიანი. თუმცა მას ჰქონდა ნიჭი და პოტენცია მეტის შექმნისა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მიეცა ამის საშუალება... თეატრში ხშირად ხდება ისე, რომ თეატრისა და კონკრეტული მსახიობის სტილისტიკა ერთმანეთს ვერ ეწყობიან. აქაც ასე მოხდა. ყოველ შემთხვევაში, მე დარწმუნებული ვარ, რომ ზინას მეტის გაკეთება შეეძლო რუსთაველის თეატრის სცენაზე... თუმცა, ბევრი აქვს ძალიან კარგად ნათამაშები.

ასევე უაღრესად საინტერესოა მისი, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატის, ფენომენი. ქ-ნ ზინას დამოკიდებულება ქართული სიტყვისადმი განსაკუთრებულია. როდესაც ის კითხულობს, ავტორის ტექსტს იყენებს და ქადაგებს თავის რწმენას, თავის პოზიციას ცხოვრებაში.

მიხეილ თუმანიშვილი

* * *

ზინაიდა კვერენჩხილაძე არის განსახიერება ნამდვილი და დიდი მოქალაქისა. როგორც ადამიანი, ის არის სამაგალითო, არა მარტო ჩვენს პროფესიაში, არამედ ცხოვრებაშიც. ყველგან, ყველგან ქ-ნი ზინა არის ნიმუში ღირსეული პიროვნებისა, სულიერად ამაღლებული მოქალაქისა და ასეთები დღეს გვჭირდებიან განსაკუთრებით. ის გახლავთ თავდადებული მამულიშვილი თავისი ქვეყნის, საქმის, მეგობრებისა და ოჯახისა. მისი პიროვნული ღირსება სუფთაა და შუქმფინარი. იგი განსაკუთრებულია ცხოვრებაშიც, შემოქმედებაშიც, ურთიერთობაშიც. საერთოდ, სრულიად არაორდინალური პიროვნებაა. როცა დიდბუნებოვნებას საოცარი ნიჭიერება ემატება, იდეალური შემთხვევაა და ზინაიდა კვერენჩხილაძეც სწორედ ასეთი იდეალური შემთხვევაა ჩვენს ცხოვრებაში!

მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მასზე უკეთესად მეტყველი მსახიობი, ქართული სიტყვის სწორად წარმომთქმელი დღეს არა გვყავს. ქ-ნი ზინა ერთ-ერთი პირველი კი არ არის, არამედ იმ პირველებში კიდევ პირველია! ამ მხრივ ის არის ძალიან დიდი მხატვარი თავისი საქმისა. მას აქვს ბუნებრივი დიდი ნიჭი, საოცრად ძლიერი ხმის მონაცემები, დიდი ემოცია, ღრმა დრამატიზმი და მამაკაცური ძალა. ჩვენ ერთმანეთს პირველად 1965 წელს შევხვდით, როცა რ. სტურუამ დადგა ა. მილერის „სეილემის პროცესი“, რომელშიც ქ-ნი ზინა თამაშობდა ელიზაბეტ პროქტორს, მე კი მის მეუღლეს – ჯონ პროქტორს, ამის შემდეგ ერთად მოვდივართ და ვერც კი ჩამოვთვლი, რამდენი გვაქვს ერთად ნათამაშები. მასთან მუშაობა ძალზე რთულია, მაგრამ უაღრესად საინტერესოც.

ზ. კვერენჩხილაძე არის ნიმუში და მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იმეტყველოს ქართველმა მსახიობმა. მას აქვს გრძნობათა დიდი ტრაექტორია. ნამდვილი ტრაგიკოსი მსახიობია, რაც დიდი იშვიათობაა დღეს. უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, როცა მან ნაიკითხა ეგმონტის მონოლოგი სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. მან, ქალმა, შეძლო ეს

ურთულესი მონოლოგი ბრწინვალედ დაეძლია, რითაც კიდევ ერთხელ დაგვანახვა თავისი განუზომელი შესაძლებლობანი.

ედიშერ მალალაშვილი

* * *

ძალიან მიყვარს ზინა კვერენჩხილაძე, მიყვარს, როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება, როგორც ჩემი კოლეგა. უალრესად პატიოსანია ბუნებითა და მთელი თავისი არსებით. უალრესად ნიჭიერი მსახიობია, უალრესად! ვფიქრობ, რომ იგი არ იყო ჩვენს თეატრში სათანადოდ დაფასებული და შეფასებული. იყო დრო, როცა ზინა რამდენიმე წელი უქმად იჯდა თეატრში, არ აძლევდნენ როლებს, არც ერთხელ არ ყოფილა საზღვარგარეთ. მას მეტის გაკეთება შეეძლო. მე ვფიქრობ, რომ ზინას მოღვაწეობა მეტყველების დარგში, მისი მოღვაწეობა, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატისა, სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული: შემოქმედებითი პოტენციით სავსე ადამიანი, რომელსაც უნდა მოქმედება, ახლის შექმნა, მუშაობა – და მან მონახა ეს გზა, თუმცა იგი თავიდანვე გამოდიოდა როგორც მკითხველი, მაგრამ ახლა დადგა ისეთი დრო, როცა შემიძლია ვთქვა, რომ ზინა არის ყველაზე კარგი მეტყველი მსახიობი და, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატს, ძალზე მალლა ვაფასებ მის მოღვაწეობას.

ყველაზე ძვირფასი და დასაფასებელი ისაა, რომ ზინას კითხვა არ არის დამყარებული მხოლოდ იმაზე, რომ მას აქვს კარგი ხმა, მეტყველება – ეს, როგორც იტყვიან, თავისთავად. ეს პირველი ამოცანაა, მთავარია, მაგრამ არ არის საკმარისი. ყველაზე ძვირფასია ის, რომ ზინა აზროვნებს კითხვის დროს. მას ყოველთვის აქვს დამოკიდებულება მასალისადმი, ტექსტისადმი, აზროვნება და ფსიქოლოგიზმი კითხვის დროს, რომლებიც არ უშლიან, არ ზღუდავენ ემოციებს. ყოველ შემთხვევაში,

მე ვთვლი, რომ მეტყველების მხრივ ზინაზე უკეთესი არავინაა. მას აქვს სიტყვის მიტანის უნარი. სიტყვა უნდა მივიდეს მსმენელამდე და ჩაჯდეს მის სულსა და გულში.

ზინა კვერენჩხილაძე უაღრესად კეთილი ადამიანია. ის სიკეთით, სიყვარულით აღსავსე პიროვნებაა და ეს ძალზე ძვირფასია ჩემთვის, რადგან სიკეთე მთავარია ცხოვრებაში, ის უნდა უნათებდეს ადამიანს გზას და ქ-ნი ზინაც სიკეთით შემოსილი პიროვნებაა.

ეთერ გუგუშვილი

ზინაიდა კვერენჩხილაძე ქართული კულტურისა და ტრადიციების დამცველია სცენაზეც და ცხოვრებაშიც. ცხოვრებაში ძალზე მოუსვენარია. არც შეიძლება მისი მოსვენება, რადგან ნამდვილი ხელოვანია. ქ-ნი ზინა სამაგალითო მსახიობია. მისი საერთო თვისებებიდან და ხასიათიდან გამომდინარეა მისი მეტყველებაც. არც ისაა შემთხვევითი, რომ იგი თეატრალურ ინსტიტუტში, ძირითადად, სასცენო მეტყველებას ასწავლის. მან კარგად იცის ქართული სიტყვის წყობა, მშვენიერება, მახვილი, მუსიკალობა.

სცენაზე მხატვრული სიტყვის დათრგუნვა ტოტალურმა რეჟისურამ მოიტანა. სიტყვა გახდა მოძრაობის, სცენური ეფექტისა და სხვა საშუალებების ტოლფასი – გაითქვიფა. ეს არის მკრეხელობა ქართული ენის, ქართული სიტყვის და მწერლობის მიმართ.

ზინაიდა კვერენჩხილაძე ნამდვილი დიდოსტატია ქართული სიტყვის, ქართული ლექსისა. მან ისე პოეტურად იცის ლექსის აღქმა და გადმოცემა, მიხვდები, რომ ეს მისეულია, რომ ასე მხოლოდ ქ-ნი ზინა კითხულობს. შესანიშნავად კითხულობს იგი ანა კალანდაძეს. დიდი სიამოვნებით ვუსმენ. მას რაღაც ანასეული აღქმა, არომატი და სურნელი მოაქვს. საოცრად რომ უყვარს ანა კალანდაძე, ეტყობა კიდეც (თუნდაც მისი ციკლი

სალამოებისა, რომლებიც ასეთი შთამბეჭდავი იყო). ზინაიდა კვერენჩხილაძემ იცის ქართული სიტყვის ფასი და მადლი. იგი მეტად პლასტიკური, ეფექტური და ემოციურია. მე აღფრთოვანებული ვარ მისი მეტყველების მაღალი კულტურით.

გიორგი გაგაჭკორი

ზინა კვერენჩხილაძის პიროვნული და შემოქმედებითი თვისებები განუყოფელია ერთმანეთისაგან. იგი რთული პიროვნებაა. იმდენად კატეგორიულად გულახდილია, შეიძლება ზოგ შემთხვევაში ზედმეტად, რომ, თუ არ უნდა, შენთან ურთიერთობაში საერთოდ არ შემოვა. ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელთანაც ის ურთიერთობას არ ამყარებს. ამის გამო შეიძლება ჰქონდეს პირადი უსიამოვნება, შეიძლება ზოგმა თქვას, რომ უცნაურია... არ ეკუთვნის ისეთ პიროვნებებს, რომლებიც ადამიანებთან ადვილად ამყარებენ ურთიერთობებს. ზინა ის ადამიანია, რომელიც არაფრით არ ფარავს დამოკიდებულებას შენ მიმართ, ზოგჯერ ძალიან აშკარადაც ავლენს მას. პირადად ჩემთვის ამის საფუძველი არის მის არაჩვეულებრივ სიმართლეში.

ძალიან პრინციპული და ძალიან მკაცრი ადამიანი თავად ზღუდავს საკუთარ ცხოვრებას, რაღაცის უფლებას თავს არ აძლევს. უჭირს ასეთ ადამიანს. უკომპრომისო ცხოვრება რთული ცხოვრებაა, მაგრამ მას სხვანაირად არ შეუძლია.

ზინა კვერენჩხილაძეს ორი უნარი მისცა ღმერთმა. მხატვრული კითხვა მაინც სხვა ხელოვნებაა. როცა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, თეატრში არ მოხერხდა მისი შემოქმედებითი უნარის სრულად ხარჯვა, არადა ენერგია, ნიჭი ითხოვს მოქმედებას... მაშინ ქალბატონმა ზინამ ინტენსიურად დაიწყო გამოსვლები მხატვრული კითხვით. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ გაჭირვების მიზეზი. განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულებ-

ბა, ინტერესი და სიყვარული სიტყვისადმი. მასთან კარგად ჩანს ქართული ენის ინდივიდუალური ჟღერადობა, ყოველი ენა ხომ თავისებური მუსიკაა? ზინასთან ქართული მუსიკობს, მელოდიურად ჟღერს.

დღესდღეობით ქართული სიტყვა აღარ არის ზრუნვის საგანი და სიტყვისადმი უგულვებელყოფითი დამოკიდებულება კი კულტურის დაცემის ერთ-ერთი პირველი ნიშანია. ზეპირმეტყველების კულტურა რომ დაეცემა, ეს იმას ნიშნავს, რომ აზროვნების დონე დაბალია. ასეთ ფონზე, ამნაირად მეტყველი ქართველი მსახიობი არის არა მარტო გამომავლენელი ჩვენი სამეტყველო კულტურისა, არამედ ნიმუშია იმისა, რომ ასე უნდა ვიმეტყველოთ. ბგერა უნდა იყოს სუფთა, კრიალა, სიტყვა მკვეთრი, მოლივლივე, გარდამავალი, მუსიკად დაღვრილი. ამიტომ დღეს ქ-ნი ზინა არის ქართული ენის კულტურის დამკვიდრების ერთ-ერთი თავგანწირული მეომარი.

მე მიმაჩნია, რომ სიტყვით მებრძოლთა რიცხვში ზინა კვერენჩხილაძე ერთ-ერთი მონინავეა იმ მცირერიცხოვან ადამიანთა შორის, რომლებიც ამკვიდრებენ ქართული სიტყვის ძალასაც და მშვენიერებასაც. ვინც სიტყვის მშვენიერებას ამკვიდრებს, ის ემსახურება თავის ერს, იმიტომ რომ სიტყვა არის ყველაზე ძლიერი საშუალება მეორე ადამიანზე ზემოქმედებისა. ის ადამიანები, რომლებიც სიტყვის ძალას გრძნობენ და სხვა-საც აგრძნობინებენ, უდიდესი მოქალაქეები არიან. ქალბატონი ზინაც ჭეშმარიტი ქართველი მოქალაქე და მსახიობია.

ნათელა ურუშაძე

ზინა კვერენჩხილაძე დიდი მსახიობია, რომლის ნიჭი და ტალანტი, სამწუხაროდ, არ გამოიყენა ქართულმა თეატრმა. ის უნიჭიერესი და უჭკვიანესი ქალია და, ამავე დროს, რაც ყველაზე მთავარია, უდიდესი ქართველია, თავიდან ბოლომდე პატრიოტია, დაავადებულია საქართველოს სიყვარულით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი სახით ქართულ თეატრს ჰყავს ინტელექტუალი მსახიობი. ძალიან განათლებულია, იმდენი რამ იცის ზეპირად, ას კაცს რომ ეყოფა.

სიკეთე არის მისი ცხოვრების თანამდევნი. მე, საერთოდ, ძალიან ემოციური ვარ და ყოფილა შემთხვევა, ლექსის კითხვის დროს უცებ ტექსტი დამვინწყებია. ზინა ყოველთვის მენმარება, ყოველთვის მზადაა გიკარნახოსა და, როცა ჩემ გვერდითაა, მშვიდად ვარ! ის ჩემი იმედია და ძალიან მიყვარს, ვეთაყვანები მის ნიჭსა და ადამიანურ თვისებებს.

რომ იტყვიან, გიჟი ვარ, მიჭირს თავშეკავება. ზ. კვერენჩხილაძე ისეთი უცნაურია, არასოდეს არ ამყლავნებს პირადს ურთიერთობაში იმას, რაც პოტენციურად არის შინაგანად. მან კარგად იცის საკუთარი თავის მართვა, თავის დაჭერა.

კარგად მახსოვს ზინას სცენური ცხოვრების დასაწყისი, მისი ბრწყინვალე როლები, რომლებმაც, ფაქტობრივად ჩემ თვალწინ ჩაიარა. სრულიად განსაკუთრებულია ზ. კვერენჩხილაძის ნიჭიერების სხვა ასპექტიც-მხატვრული კითხვა, მართლაც დიდი მკითხველია, თანაც რაც არ უნდა დაინყო, შეუძლია გააგრძელოს, მთელი ქართული კლასიკური პოეზია ზეპირად იცის –ესეც დიდი იშვიათობაა. დასასრულ ისიც მინდა ვთქვა, რომ ქ-ნი ზინას რეპერტუარი ყოველთვის პატრიოტული სულისკვეთებითაა შერჩეული და მისი, როგორც მოქალაქის, პოზიციის გამონახულებაა. ასეთი მსახიობი, ასეთი მამულიშვილი, ასეთი პროფესიონალი და მეგობარი შეიძლება მხოლოდ ინატროს ადამიანმა. ამიტომ მისი არსებობა ჩემი ბედნიერებაა!

დოდო ჭიჭინაძე

* * *

ზინაიდა კვერენჩხილაძეს აქვს პიროვნული ავტონომია და ამაში ვგულისხმობ მის დამოუკიდებლობასა და მის პიროვნებას. საბჭოთა წყობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ყველანი ერთნაირი გაეხედა, ერთ ფერში გადაეწყვიტა, ერთ საზომსა და ყალიბში გამოეყვანა. საბედნიეროდ, კომუნისტური სისტემის კოდს ქ-ნი ზინა არასოდეს დაქვემდებარებია. ის სრულიად გამორჩეული ადამიანია თავისი დამოკიდებულებით, პატიოსნებით, სიყვარულით და თავისი უანგარობით საქმისადმი.

მისი მოღვაწეობა შიდა ქართლის თეატრში ლაპარაკობს ქ-ნ ზინას პიროვნებაზე, რადგან მთლიანად ქვეყნისა და, შესაბამისად, მსახიობური უმოქმედობის ფონზე ის პოულობს იმ გზას, რომ იმუშაოს, იაროს სოფელ-სოფელ, კლუბ-კლუბ უმძიმეს პირობებში. ასეთი სირთულეებით, თავგანწირვითა და უანგარობით გამოიხატება მისი პიროვნება.

თეატრი, სამწუხაროდ, ისეთი ორგანიზმია, რომ ვიღაცის მსახიობი უნდა გერქვას... ზინაიდა კვერენჩხილაძე არავის არტისტი არაა, უბრალოდ, ზინა კვერენჩხილაძეა. არანაირ დაჯგუფებებში მას არასოდეს მიუღია მონაწილეობა და მხოლოდ თავისი თავდადებით, თავისი შრომითა და თავისი ნიჭით იკაფავდა გზას.

მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ცხოვრებაში სამი მასწავლებელი მყავდა და ერთ-ერთი მათგანი ქალბატონი ზინა იყო და არის. ამბობენ, რომ ქართველი კაცია ემოციურიაო და საქართველოში ლექსის ნაკითხვად ითვლებოდა ხმამაღლა და ემოციით კითხვა. ზინა კვერენჩხილაძე არის ერთ-ერთი პირველი (ვერიკო ანჯაფარიძესთან, უშანგი ჩხეიძესთან, სერგო ზაქარიაძესთან ერთად), რომელმაც მოახდინა სინთეზი ემოციისა და გონიერებისა, აზროვნებისა და ემოციურობისა და ესენი შეარწყა ერთმანეთს. მან ემოციურობის ზღვარი იპოვა, იქით აღარ გადავიდა და მოგვცა ჰარმონია აზროვნებისა და ემოციისა. დღეს არ არის საქართველოში ადამიანი, რომელმაც

ეს მასზე უკეთესად იცის. ქ-ნმა ზინამ დაიწყო ქართული პოეზიისა და სიტყვის გათავისუფლება ცრუ, მოჩვენებითი ემოციურობისა და ყალბი, ხმამაღალი პატრიოტიზმისაგან. ჩვენ რომ ცივილიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, მას უნდა ჰქონდეს თავისი სკოლა, რომელშიც არამარტო მოსწავლეებს ასწავლიდა, პედაგოგებსაც კი გაზრდიდა, რომლებიც ამ მიმართულებით იმუშავებდნენ.

ქალბატონ ზინას გემოვნებამ და ინტელექტმა აირჩია იმდენად სწორი გზა, რომ დღეს ის ნიმუშია შეუდარებლად მეტყველი მსახიობისა.

გიორგი ხარაბაძე

ზინა კვერენჩხილაძე რთული პიროვნებაა. ის, როგორც მოქალაქე და როგორც მსახიობი, ჩემში ამაღლებულ, სასიამოვნო გრძნობებს იწვევს. ერთადერთი, რაშიც დარწმუნებული ვარ, ის მთლიანად ცხოვრობს სულიერი ცხოვრებით, თეატრით, საზოგადოებრივი ცხოვრებით. იგი არ არის მერკანტილური ადამიანი, მისთვის მატერიალური კეთილდღეობა, რაღა თქმა უნდა, უპირველესი არ არის. ამასთანავე, საოცრად, ზომაზე მეტად მორიდებული პიროვნებაა.

ძალიან დიდი წილი მისი შემოქმედებისა მოდის ტრაგიკულ კლასიკურ რეპერტუარზე, რომელშიც ანტიგონეს დარი არაფერია. გამორჩეულად მნიშვნელოვანია მის შემოქმედებაში სპექტაკლი „ამჰერსტის მშვენება“, რომელშიც მინიმალური სარეჟისორო საშუალებები იყო გამოყენებული და მსახიობს პირდაპირ ჰქონდა დიალოგი გამართული მაყურებელთან. ეს სიტყვათმეტყველებასთან უშუალოდ თუ არა, თეატრალური ხელოვნების ყველაზე მიახლოებული ფორმა იყო ისე, როგორც სპექტაკლში „ჩემო კალამო“, რომელშიც ილიას „განდეგის“ კითხულობდნენ ქალბატონი ზინა და გურამ სალარაძე. ესეც იყო

არა სიტყვათმეტყველება თავისი სუფთა, კლასიკური გაგებით, როცა დგას ადამიანი და უშუალოდ კითხულობს ლექსს სცენიდან, არამედ ისინი თითქოსდა გაითამაშებდნენ ამას, ეს უფრო ლიტერატურული თეატრის პრინციპზე იყო აგებული... აქ იყო რაღაც შუალედი ე. წ. მხატვრულ კითხვასა და თეატრალურ დადგმას შორის. ამ სპექტაკლში ქალბატონი ზინა უბრწყინვალესად კითხულობდა ნანყვეტს ილიას „აჩრდილიდან“ „დედავ ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია“, რომელიც უალრესად მთამბეჭდავი იყო.

ზ. კვერენჩხილაძის ცხოვრების ასეთივე საინტერესო მომენტი იყო, როცა ფსიქოლოგმა დარეჯან რამიშვილმა სთხოვა ისეთ ექსპერიმენტში მონაწილეობის მიღება, რომელშიც სიტყვასა და ინტონაციას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ცნობილმა ფსიქოლოგმა არჩევანი ქალბატონ ზინაზე რომ შეაჩერა, ეს არ არის შემთხვევითი. ექსპერიმენტში შენი მიზნის ნათელსაყოფად უნდა გამოიყენო და დაიხმარო ისეთი ადამიანი, რომელიც ძალიან ზუსტად შეძლებს შენი მეცნიერული მიზნის განხორციელებას.

შეიძლება ადამიანი იყოს ნიჭიერი, როგორც მსახიობი, კარგად თამაშობდეს, ჰქონდეს მომხიბვლელობა, მაგრამ ერთეულები არიან საქართველოში, რომლებსაც აქვთ პიროვნული მნიშვნელოვანება, ანუ მორალური უფლება სცენიდან ქადაგებისა, იმიტომ რომ, თუ მას აქვს მორალური უფლება, მხოლოდ მაშინ დავუჯერებ. ქალბატონი ზინა ამ შემთხვევაში ეკუთვნის იმ მსახიობთა რიცხვს, რომლებმაც მოიპოვეს ასეთი უფლება. ეს ღვთისგან მონიჭებულია, რადგან, თუ ბუნებრივად არა გაქვს ეს დიდი მადლი, ისე ამას ვერც ისწავლი და ვერანაირი სისტემა ვერ მოგცემს.

ზინა კვერენჩხილაძე ყველაზე აქტიური მსახიობია მხატვრული სიტყვის დარგში. ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა გამოსვლებმა ანსამბლ „ფაზისთან“ ერთად. მან იცის ქართული სიტყვის ფასი და მშვენიერება, აქვს უნარი ჩასწვდეს მწერლის სიტყვის თავისებურებებს. გურამიშვილს კითხულობს ის, ილიას, ვაჟას, თუ ანა კალანდაძეს შეუძლია

გვიჩვენოს, რომ ყოველი მათგანი სხვადასხვანაირია, რომ ეს სხვადასხვა სიტყვიერი ქსოვილია, რომ ესენი განსხვავებული მწერლები არიან და მათ სხვადასხვანაირ მშვენიერებას, დიად გრძნობებსა და განცდებს თავისი შესანიშნავი ხმითა და მაღალი სამსახიობო ოსტატობით გვანოდებს, რაც, ამავე დროს, მისი სათქმელიცაა.

მანანა გეგეჭკორი

* * *

ზინა კვერენჩხილაძის მოქალაქეობრვი სახე ძალიან კარგად ვლინდება მის შემოქმედებაშიც. ის არის პიროვნება, რომელიც აერთიანებს შემოქმედებასა და მის მოქალაქეობრივ პოზიციას. ზ. კვერენჩხილაძის დმანისის თეატრში მოღვაწეობა არის მისი, როგორც პატრიოტი მოქალაქის, პოზიცია. და ეს არ არის შემთხვევითი, რადგან ზინა, უფრო ადრე, წავიდა, როცა სჭირდებოდა ფოთის თეატრს. ასე რომ, მოქალაქეობრივი სიმაღლე ძალიან ბუნებრივად ერწყმის მის შემოქმედებითს სამყაროს. ეს ერთი მთლიანობაა!

მე კარგად მახსოვს, როცა ზ. კვერენჩხილაძე გამოვიდა სასცენო ასპარეზზე ლელას როლში დ. ალექსიძის სპექტაკლ „ბახტრიონში“. არც ის არის შემთხვევითი, რომ ეს იყო დაბადება ახალი აქტიორისა პატრიოტულ სპექტაკლში. ზინა არის ღრმა დრამატული მსახიობი და მე მგონია, რომ მას შემდეგ, რაც 50-იანი წლების თაობა მოვიდა, ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ქალთა შორის უფრო ტრაგიკული ნიჭის მსახიობი ახალი თაობიდან არ გვყავს. ამან განაპირობა გარკვეული შეუთავსებლობა იმ ახალ სტილისტიკასთან, რომელიც წარმოიშვა რუსთაველის თეატრში 60-იანი წლების მეორე ნახევარში. მე ვგულისხმობ ბრეტის ესთეტიკას. ზინა კლასიკური ტრაგიკული თეატრის მოდელის მსახიობია და ასეთი დიდი ნიჭის მსახიობი ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრების მიღმა დარჩა.

ის აგრძელებს ნუცა ჩხეიძის, ვერიკო ანჯაფარიძისა და თამარ ჭავჭავაძის ტრადიციებს, როგორც ტრაგიკული განცდის მსახიობი.

ზინა კვერენჩხილაძის ხალასი არტისტული ნიჭიერება ვლინდება ყველგან, ყოველ ჟანრში. მის რეპერტუარშია არა მხოლოდ ემილი დიკინსონი („ამჰერსტის მშვენება“), როგორც წარმოჩენა ურთულესი ფსიქოლოგიური და პოეტური სამყაროსი, არამედ ყოფითი სახასიათო როლებიც: გიული – შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“, გმირთა ყოფითი სახეების რეალისტური გააზრება და ანტიგონეს, მედეასა თუ ფედრას ტრაგიკული სიდიადე ავლენს მსახიობის შესაძლებლობათა მასშტაბურობას. ყველგან იგრძნობა, რომ სცენაზეა მსახიობი, რომელსაც ძალუძს ურთულესი სცენური პრობლემების გადაწყვეტა. არტისტული ემოცია, რომელიც ასე სავსეა ცხოვრების სიმართლით, ადამიანურ გრძნობათა ბუნების სიმდიდრით, მაყურებელზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. მას სჯერა მსახიობის ცრემლისა, მისი თბილი და ძლიერი ხმისა, მისი ჟესტის პლასტიკური ელვარებისა.

ზინა კვერენჩხილაძე არის მხატვრული კითხვის ბრწყინვალე ოსტატი, გულთბილი მეგობარი ახალი არტისტული თაობისა. მისი ცხოვრების ნერვულ რიტმში, საზოგადო მოვლენებისადმი მის მგრძნობიარე დამოკიდებულებაში ვლინდება მსახიობის პიროვნული მთლიანობა.

ზინა კვერენჩხილაძეს არ შეუძლია იყოს გულგრილი მეთვალყურე ცხოვრების დრამატული კოლიზიების, თუ თეატრის ფერისცვალებისა. ყველაფერი აღიქმება როგორც მისი ცხოვრების არსი, მისი სისხლი და ხორცი. იგი მებრძოლია თავისი სცენური გმირებით, თავისი მითოსური რომანტიკით.

ზინა კვერენჩხილაძეს შემოქმედებითი ცხოვრების დიდი შუაღლე უდგას. მზე ზენიტშია, იგი უხვად გზავნის თავის მაცოცხლებელ სითბოს. სიკეთესა და სითბოს ანათებენ ზინა კვერენჩხილაძის სულის ორეულები. ისინი ჩვენი თანამედროვენი არიან თავიანთი რთული ადამიანური ცხოვრებით, კონფლიქტების მტანჯველი გრძნობით, პიროვნების თავისუფ-

ფლებისაკენ მისწრაფებითა და სურვილით, იპოვონ ადგილი ამ მოუწყობელსა და გაუტანელ სამყაროში. ჩვენ გვესმის მათი ხმა – ერთობ ძლიერი და ამაღლებული!

ყოველი სახე, ზემოთ რომ გვექონდა საუბარი, გამოირჩევა მკაცრი „ტკბილ ქართული“ მეტყველებით. გმირის შინაგანი ბუნების გამოსახვის რთულ სინთეზში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სცენური მეტყველება და პლასტიკური შესტი. მათ ჰარმონიულ შერწყმაში არის მსახიობის მეტყველების ძალა.

ზინა კვერენჩხილაძის მეტყველება გამოირჩევა საოცარი სინათლით, მკაფიო ფლერადობით, არ იკარგება არც ერთი ნიუანსიც კი. დარბაზის ნებისმიერ ადგილას ისმის მისი სიტყვა. აზრი, რომელიც სიტყვაში ძევს, ქმედითა თავისი ემოციური მუხტის გამო. წრფელი ემოცია არის მსახიობის ის მხატვრული ენერგია, რომელიც ასე ძლიერად მოქმედებს მაყურებელზე. ზინა კვერენჩხილაძე კი შესანიშნავად ფლობს მაყურებლის „მოთოკვის“ ხელოვნებას.

ზინა კვერენჩხილაძე ხშირად გამოდის რადიოსა და ტელევიზიაში, სცენაზე, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატი. ეს ცალკე, დამოუკიდებელი ხელოვნებაა, ასე იშვიათად რომ ეზიარებიან ხოლმე მას თვით სახელოვანი მსახიობებიც კი. ზ. კვერენჩხილაძისათვის მაყურებელთან ურთიერთობის ამ ფორმას გამორჩეული მნიშვნელობა აქვს. მას უყვარს პოეზია, ქართული ღვთაებრივი პოეზიის ნიმუშები და იგი დიდი სიხარულით გადასცემს სცენიდან მაყურებელს პოეტის აზრსა და ემოციას.

უკეთეს შუამავალს ვერ ინატრებს პოეტი!

თუმცა ეს ბევრად მეტია, ვიდრე შუამავალი პოეტსა და მკითხველს შორის. იგი ლექსებში ახალ ინტერპრეტაციას აძლევს პოეტურ სამყაროს, ანიჭებს მას თავისთავადობას, როგორც არტისტული ტრანსფორმაციის შედეგს.

ზინა კვერენჩხილაძისეული მხატვრული კითხვის სტილისტიკა და სცენური გმირის მეტყველება ხშირად ერთგვაროვანია. ეს ბუნებრივიც არის. მხატვრული აზროვნებისა და ემო-

ციური სისავსის საერთო ხასიათში უკეთაც ვლინდება შემოქმედის მთლიანი ბუნება.

ზინა კვერენჩხილაძე ინსტიტუტში წლების მანძილზე ასწავლის ახალგაზრდებს სასცენო მეტყველებას, ასწავლის ამ ურთულეს სამყაროში წვდომის ხელოვნებას. ახალგაზრდები გულწრფელად ენდობიან ოსტატს, რადგან იციან, რომ იგი არასოდეს ატყუებს მათ. ურთიერთობა მუდამ ნდობასა და სიკეთეზეა აღმოცენებული.

როგორ სჭირდება თანამედროვე თეატრს ზინა კვერენჩხილაძის სიკეთის ხმა, მისი ემოციური სისავსე და არტისტული კეთილშობილება. იგი გავსწავლის რომანტიკული იდეალებისადმი ერთგულებას, გვინერგავს რწმენას მომავლისადმი. ასე მოვიდნენ ქართულ თეატრში მისი გმირები და ასეთადვე დარჩნენ ისინი თეატრის თაობათა მეხსიერებაში.

ვასილ კიკნაძე

* * *

სავარდო და სამაისო ქუთაისიდან ათი კილომეტრის მოშორებით მდინარე რიონის ხეობაში განფენილია დიდი კულტურული წარსულის მქონე სოფელი – რიონი, სერგი, კოტე ეფემია, ივანე და დავით მესხების სამშობლო, ვერიკო ანჯაფარიძის დედუღეთი. მეც ამ სოფელში დავიბადე.

1985 წელს ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე გამართული საზეიმო კონცერტის ჩანანერს აჩვენებდნენ ტელევიზიით. სცენის სიღრმიდან პროჟექტორის შუქზე მეტყველი ნაბიჯებით შემოვიდა მსახიობი და დაძაბული, ტრაგიკული ხმით დაიწყო მირზა გელოვანის წერილის კითხვა: „ძვირფასო მშობლებო, დებო...“ იმდენად ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ აღმოვჩნდი, რომ გადავწყვიტე ამ მსახიობის გასაცნობად თბილისში ჩასვლა..

ერთი წუთით წარმოიდგინეთ ბავშვის აკვიატებული სურვილი იმ ფონზე, როცა დედაქალაქში ნამყოფი არ ვიყავი, თანაც ამ მსახიობი ქალის სახელისა და გვარის გარდა მხოლოდ ის ვიცოდი, რომ რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო და თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდა. იმდენად შეძრა ჩემი სული მისმა გამოსვლამ, რომ აღარ ვფიქრობდი არც მისი ბინის მისამართზე, არც ტელეფონის ნომერზე... სად უნდა მეპოვა ამხელა ქალაქში ერთი დღით ჩამოსულ სოფლელ ბიჭს ზინა კვერენჩხილაძე?!

ახლობლებს რომ გავანდე ჩემი სურვილი, სიცილადაც არ ეყოთ, ამიგდეს: როგორც კი ჩახვალ თბილისში, სადგურზე მთელი თეატრალური საზოგადოება დაგხვდება და ვინც გინდა გაიცანიო.

მე ჩემსას არ ვიშლიდი!

ქუთაისი-თბილისის მატარებელი თბილისში დილის 7 საათზე ჩამოდიოდა და სალამოს თორმეტისთვის უკან ბრუნდებოდა, ასე რომ, მთელი ერთი დღე ჩემს განკარგულებაში იყო. დედაქალაქში გათხოვილმა ჩემმა მეზობელმა, რომელიც იმხანად სოფელში დასასვენებლად იყო ჩამოსული, მითხრა: სადგურიდან №2 ტროლეიბუსი მიგიყვანს რუსთაველის თეატრთან და იქვეა თეატრალური ინსტიტუტიცო.

გავრისკე და 1 აგვისტოს უკვე თბილისში ვიყავი. ამ პერიოდისთვის თეატრებში სეზონი დახურულია, ინსტიტუტში სწავლა-შეწყვეტილი, ქალაქი დაცარიელებული... რა უნდა მექნა, ბევრი ვიხეციალე, მაგრამ ვერც თეატრში და ვერც ინსტიტუტში ვერ ვიპოვე ჩემი ზინა კვერენჩხილაძე.

დღის ორი საათი იქნებოდა, №2 ტროლეიბუსით (სხვა ტრანსპორტში არც ჩავმჯდარვარ) ვაგზალზე ვბრუნდებოდი უკან დასაბრუნებელი ბილეთი დროულად რომ მეყიდა. დაფიქრებული ვიდექი ტროლეიბუსის უკანა კართან: რას მეტყვიან რიონში, როგორ გამამასხარავენს ყველა, რა უნდა ექნა?!..

სასწაულის ხომ გჯერათ?!

უცებ ოპერის თეატრის გაჩერებაზე უკანა კარებში ამოვ-

იდა შავ ტანსაცმელში გამონყობილი ზ. კვერენჩხილაძე. მოულოდნელობისაგან გავფითრდი. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეეჯახნენ. მან საფულე გახსნა, ხუთკაპიკიანი ჩააგდო და ბილეთი აიღო. წინ გადავიდა. გავყევი. დავიბენი. ვერ დავრწმუნდი, ეს ქალი ნამდვილად ზ. კვერენჩხილაძე იყო თუ მას ჰგავდა! გადავწყვიტე, რომელ გაჩერებაზეც ჩავიდოდა, ჩავყეებოდი, მივმართავდი: ქ-ნო ზინა! და, თუ გამომხედავდა, ე.ი. ის იქნებოდა. რამდენიმე გაჩერების შემდეგ, ძველ კინოსტუდია-სთან, ის შავ ტანსაცმელში გამონყობილი ქალბატონი ჩავიდა. ჩავყევი. აინთო წითელი შუქნიშანი. დრო ვიხელთე და დაბალი ხმით ზურგიდან მივმართე

– ქ-ნო ზინაიდა!

– დიახ! – მოულოდნელად მიპასუხა

აბა, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი! სიხარულისაგან ლამის გული გამისკდა... აღარ მახსოვს რას ველაპარაკებოდი, რას აღარ ვჩამახავდი... ბოლოს, მოვიფიქრე და ავტოგრაფი ვთხოვე, რიონში ჩემი უცნაური ვიზიტის წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტი ხომ უნდა ჩამეტანა?! მან სიამოვნებით მომიწერა ხელი პატარა უბის ნიგნაკში, მერე ტელეფონის ნომერიც ჩამანერინა, შუქნიშანზე მწვანეც აინთო და წავიდა. გადასასვლელის შუა გზიდან უკან მობრუნდა და ჩემკენ გამოემართა. ვერ მივხვდი, რა მოხდა!

– გეთაყვა, ტელეფონის ინდექსი დამავინწყდა რომ ჩამენერინებინა

– არა, არ უნდა – ვეუბნები

– როგორ არ უნდა, ის ევერ დარეკავთ – განმიმარტა – **ДЕВЯНОСТО ПЯТЬ**– მეუბნება რუსულად

დამავინწყდა ყველაფერი, ველარ ვიხსენებ რამდენია ეს საჯანდაბე **ДЕВЯНОСТО ПЯТЬ**. ბოლოს, როგორც იქნა, აკანკალებული ხელით ჩავამატე 95.

ასე დაიწყო ჩემი ურთიერთობა ზ. კვერენჩხილაძესთან. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. რამდენი მშვენიერი, დიდებული, ამალლებული წუთი გვაქვს ერთად გატარებული, საათობით საუბრები ტელეფონით... რამდენი გვიკამათია, რამდენჯერ

გვიჩხუბია კიდეც. იყო პერიოდები, როცა გამებუტებოდა, აღარ მესაუბრებოდა. მერე გავიდოდა დრო და ისე შემირიგდებოდა, თითქოს აქ არაფერი ყოფილაო... მე სრულად გავიარე მასთან ურთიერთობის ურთულესი და საინტერესო კურსი თავისი უცნაურობებით, მოულოდნელობებით, აღმაფრენით, ტკივილით, შემოქმედებითი წარმატებებისა თუ კრახის ჩათვლით.

ასე ვეზიარე ტრაგიკოსი მსახიობის ესთეტიკას, მისი მეშვეობით ქართული თეატრი ჩემთვის იქცა სულში ჩაღვრილ სათნოებად. ჩემი ცხოვრების ახალი სამყარო გაიხსნა და დაინყო ზინაიდა კვერენჩხილაძით. იმ პირველმა შთაგონებამ კი, რომელმაც რიონიდან თბილისში ჩამომიყვანა, ეს წიგნი დამანერინა!

РЕЗЮМЕ

Художественное чтение – самостоятельный вид искусства, однако к этому жанру чаще всего обращаются актёры. Чтецу необходимо учитывать ряд требований: особенно важными представляется хорошая, отточенная, изящная, правильно поставленная речь, мышление и психологизм во время чтения. Актёр должен осмыслить что и почему он читает для того, чтобы его интонация была точной, правильной. Не должна нарушаться структура и форма стихотворения, стих должен литься подобно музыке. Выделение (акцентация) слова – наилучший способ выражения художественной мысли. Во время художественного чтения актёр не должен прибегать к позёрству, манерам, пафосу и иллюстративности.

Народная артистка Грузии Зинаида Кверенчиладзе – образец и олицетворение высокого мастерства художественного чтения. Репертуар артистки выявляет её гражданскую позицию и творческие интересы. Своей эмоцией она может «вторгнуться» в ткань авторского текста, будь то проза или стих, обогатив его своими переживаниями и ощущениями. Зинаида Кверенчиладзе демонстрирует мастерство чтеца и талант безмолвия. Её деятельность на ниве художественной декламации - попытка вернуть грузинское общество к эстетическим ценностям. Артистка предоставляет слушателю возможность насладиться красотой и благозвучием грузинского художественного «слога» (слова), опорой которого является грузинский театр. Своим мастерством Зинаида Кверенчиладзе возвращает грузинскому театру его исторические функции - хранение и защиту грузинского языка.

Речь Зинаиды Кверенчиладзе отличается необычайная звучность и четкая дикция, при которой не теряется ни один нюанс: актриса обладает даром доносить до слушателя всю красоту художественного слова. На протяжении многих лет она обучает основам сценической речи студентов. Всю свою жизнь актриса посвятила грузинскому слову, которому служит уже 50 лет. Зинаида Кверенчиладзе и сегодня активно занимается художественным чтением. Этим она выражает свою гражданскую позицию, даёт почувствовать всю силу художественного слова.

ლიტერატურა:

1. გეგეჭკორი მანანა, ზინა კვერენჩილაძე, თბ., 1986;
2. მრევლიშვილი მალიკო, მხატვრული კითხვის ხელოვნება, თბ., 2006;
3. ნათაძე რევაზ, სასცენო გადასახვის საფუძვლის პრობლემა, თბ., 1970;
4. ნიკოლაიშვილი ბაბუღია, სასცენო მეტყველების კომპლექსური სწავლება, თბ., 1987;
5. სააღდგომო ეპისტოლე, თბ., 1991;
6. ტენი იპოლიტ, ხელოვნების ფილოსოფია, თბ., 1990;
7. ცქიტიშვილი გივი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, თბ., 1991;
8. ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი, ტომი V, კრიტიკა, თბ., 1991;
9. ჯორბენაძე ბესარიონ, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989;
10. ჰორაციუსი, პოეტური ხელოვნებისათვის, თბ., 1981.

სარჩევი

წინათქმა	3
მსახიობის სიტყვათმეტყველება	6
ფოტორეპორტაჟი	34-35
ინტერვიუ	45
ზინაიდა კვერენჩილადის შესახებ	
მიხეილ თუმანიშვილი	48
ედიშერ მაღალაშვილი	50
ეთერ გუგუშვილი	51
გიორგი გეგეჭკორი	52
ნათელა ურუშაძე	53
დოდო ჭიჭინაძე	55
გიორგი ხარაბაძე	56
მანანა გეგეჭკორი	57
ვასილ კიკნაძე	59
Резюме	66